პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

შაბათი, 7 თებერვალი, 1948 წ. № 27 (8071). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში:

ორგანიზებულად ჩავატაროთ საანგარიშო კრებები კოლმეურნეობებში. მოწინავე (1-ლი გვერდი).
კანონი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის 1948 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ. (1-ლი გვერდი).
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესიის მიერ მიღებული კანონები (მე-2 გვერდი).
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების შესახებ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნის დეპუტატ ა. თ. გორკინის მოხსენება (მე-2 გვერდი).
ქ. ჭიჭინაძე — გავამართლოთ ხალხის ნდობა (მე-3 გვერდი).
ფართოდ გავშალოთ შეჯიბრება ჩაის მაღალი მოსავლისათვის (მე-3 გვერდი).
უცხოეთის ამბები — დეპეშები (მე-4 გვერდი).

ორგანიზებულად ჩავატაროთ საანგარიშო კრებები კოლმეურნეობებში

საქართველოს კოლმეურნეობებში ამჟამად მიმდინარეობს საანგარიშო კრებები, რომლებზეც იხილავენ გამგეობათა 1947 წლის სამეურნეო მუშაობის ანგარიშს. საანგარიშო კრებები დიდი სამეურნეო და პოლიტიკური მნიშვნელობის მოვლენაა კოლმეურნეთა ცხოვრებაში.

1947 წელი იყო უხვი მოსავლის წელი, კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობის შემდგომი განმტკიცების წელი. სოფლის მეურნეობის განვითარების კიდევ უფრო მაღალი ტემპია დასახული 1948 წელს. მარცვლეული, სუბტროპიკული და ტექნიკური კულტურების მოსავლიანობის გადიდებასთან ერთად უნდა მივაღწიოთ მეცხოველეობის მძლავრ აღმავლობას.

ამ საბრძოლო ამოცანის წარმატებით გადაჭრისათვის საჭიროა საქმიანად, კრიტიკულად განვიხილოთ კოლმეურნეობათა გასული წლის მუშაობა, გამოვავლინოთ ნაკლოვანებანი კოლმეურნეობებისადმი ხელმძღვანელობის საქმეში და დავსახოთ ღონისძიებანი სოფლის მეურნეობის განვითარების ახალი ხუთწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებისათვის.

კოლმეურნეობის წლიურ ანგარიშს იხილავს და ამტკიცებს კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრება. ბევრგან საანგარიშო კრებები ორგანიზებულად მიმდინარეობს, აჯამებენ წარსული წლის მუშაობას, აკრიტიკებენ ნაკლოვანებებს, სახავენ ახალ კონკრეტულ ამოცანებს მოსავლიანობის გაზრდისათვის. მაღალ პოლიტიკურ დონეზე ჩატარდა ამას წინათ საანგარიშო კრება ცხაკაიას რაიონის თეკლათის კალინინის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ამხ. ი. ფოჩხუა). ორგანიზებულად ატარებენ საანგარიშო კრებებს საქართველოს სხვა რაიონების კოლმეურნეობებშიც.

მაგრამ წლიური ანგარიშის განხილვა-დამტკიცება ყველგან ერთნაირი ტემპით არ მიმდინარეობს. სათანადო ორგანოთა დადგენილებით ყველა კოლმეურნეობაში გამგეობათა ანგარიშების ჩაბარება უნდა მოხდეს მიმდინარე წლის 15 თებერვლამდე. მაგრამ ბევრგან ეს ვადები ირღვევა. გორის რაიონში 148 კოლმეურნეობიდან 1 თებერვლისათვის არც ერთ კოლმეურნეობაში არ იყო დამთავრებული წლიური ანგარიშის განხილვა-დამტკიცება. ასევე უნდა ითქვას ჩოხატაურის, ცაგერის, ახალქალაქისა და ახმეტის რაიონების შესახებ.

კოლმეურნეობათა საანგარიშო კრებების ჩატარების ასეთი ნელი ტემპი მოუთმენელია. საჭიროა დავაჩქაროთ წლიური ანგარიშების განხილვა და ყველგან უზრუნველვყოთ კოლმეურნეთა საერთო კრებების დროულად და ორგანიზებულად ჩატარება. ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები უნდა დაეხმარონ კოლმეურნეობებს კრებების ორგანიზებულად მოწყობის საქმეში. საანგარიშო კრებას ყველა კოლმეურნე უნდა დაესწროს, ხოლო უკიდურეს შემთხვევაში, წლიური ანგარიშის განხილვას უნდა ესწრებოდეს კოლმეურნეთა ორი მესამედი მაინც. პარტიის რაიონული კომიტეტების მდივნები, ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა მუშაკები ვალდებული არიან პირადად დაესწრონ საანგარიშო კრებებს.

დიდია კოლმეურნეობათა საანგარიშო კრებების მნიშვნელობა. ამ კრებებზე უნდა გამოვავლინოთ, თუ როგორ ახორციელებს კოლმეურნეობა სასოფლო-სამეურნეო არტელის სტალინურ წესდებას, რა არის გაკეთებული კოლმეურნეობის ორგანიზაციულ-მეურნეობრივი განმტკიცებისათვის და როგორია კოლმეურნეობის ადგილობრივი საშუალებანი, რეზერვები საარტელო მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის. კოლმეურნეებმა საანგარიშო კრებებზე უნდა მიიღონ ამომწურავი პასუხი შემდეგ საკითხებზე: მთლიანად და ვადაზე შესრულებულია თუ არა სახელმწიფოსათვის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტთა დამზადების გეგმები? რა არის გაკეთებული საგაზაფხულო თესვის სანიმუშოდ მომზადებისათვის? შექმნილია თუ არა საზოგადოებრივი ფონდები? დანიშნულებისამებრ არის თუ არა დახარჯული კოლმეურნეობის ფულადი სახსრები? შესრულებულია თუ არა კოლმეურნეობის მიერ მთლიანად, ხოლო ბრიგადებისა და რგოლების მიხედვით ცალ-ცალკე მოსავლიანობის ძოყვანის დაწესებული გეგმა? როგორ ხდებოდა ავანსების გაცემა, როგორ იყო დაყენებული გამომუშავებული შრომადღეების აღრიცხვა, როგორ ხორციელდებოდა კანონი შრომის დამატებითი ანაზღაურების შესახებ.

საჭიროა უზრუნველვყოთ კოლმეურნეთა აქტიური მონაწილეობა წლიური ანგარიშის განხილვისას, კარგად უნდა ავწონ-დავწონოთ გამგეობის მუშაობა, გულისხმიერად მოვეპყრათ კოლმეურნეთა თვითეულ წინადადებას, ფართოდ გავაჩაღოთ კრებებზე კრიტიკა და თვითკრიტიკა, ბოლშევიკურად გამოვავლინოთ და ბოლომდე აღმოვფხვრათ ნაკლოვანებანი სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების განხორციელებისათვის ბრძოლის საქმეში, განსაკუთრებით გავამახვილოთ ყურადღება იმაზე, ხომ არ აქვს ადგილი საზოგადოებრივი საკოლმეურნეო მიწის დატაცების ან არასწორად გამოყენების, შრომადღეების არასწორად ხარჯვის, საკოლმეურნეო სახსრებისა და პროდუქტების განიავების, კოლმეურნეობების მართვის დემოკრატიული საფუძვლების დარღვევის შემთხვევებს? უნდა დავსახოთ კონკრეტული ღონისძიებანი ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავლიანობის გადიდებისათვის, მეცხოველეობის აღმავლობისათვის. საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1947 წლის თებერვლის პლენუმის დადგენილებაში ნათქვამია: დაწესდეს, რომ პარტიის მთავარ ამოცანას საკოლმეურნეო მშენებლობაში წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო არტელის შემდგომი ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცება, კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი საკუთრების გადიდება. მთელი ძალითა და ენერგიით ვიშრომოთ ამ საპატიო ამოცანის შესასრულებლად.

დიდი მოვალეობა აკისრიათ კოლმეურნეობათა სარევიზიო კომისიებს. მათ წლიური ანგარიშების შედგენისას შეამოწმეს გამგეობის სამეურნეო-ფინანსური საქმიანობა და ახლა საანგარიშო კრებებზე თავიანთი დასკვნა უნდა მოახსენონ კოლმეურნეთა საერთო კრებას.

კოლმეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დარღვევათა ლიკვიდაციის ზომების შესახებ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1946 წლის 19 სექტემბრის დადგენილებაში ნათქვამია, რომ საანგარიშო კრებებზე კოლმეურნეობათა გამგეობების, კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებისა და სარევიზიო კომისიების არჩევნები იმ შემთხვევაში უნდა ჩატარდეს, თუ წესდებით დადგენილი ვადები გასულია, ან როცა კოლმეურნეთა საერთო კრება საჭიროდ ჩათვლის ვადამდე მოახდინოს ეს. კოლმეურნეობის გამგეობისა და სარევიზიო კომისიის არჩევნების დროს კოლმეურნეებმა სავსებით უნდა გამოიყენონ თავიანთი უფლება კანდიდატურების წამოყენებისა და აცილებისა. ეს წესი ყველგან უნდა დავიცვათ.

ადგილობრივმა პარტიულმა, საბჭოთა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა, სოფლის მეურნეობის ორგანოებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ კოლმეურნეობათა საანგარიშო კრებების მომზადებულად ჩატარებას, დარაზმონ კოლმეურნენი პარტიისა და საბჭოთა მთავრობის, დიდი სტალინის მიერ დასახული ამოცანების სასახელოდ შესრულებისათვის.

ახლახან დამთავრებულმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესიამ განიხილა და დაამტკიცა სსრ კავშირის 1948 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი და ერთსულოვნად მიიღო ბიუჯეტის კანონი.

ახლა ამოცანა ის არის, რომ წარმატებით შევასრულოთ მიმდინარე წლის საფინანსო პროგრამა, მტკიცედ დავიცვათ მომჭირნეობის რეჟიმი სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, კიდევ უფრო განვამტკიცოთ ჩვენი ქვეყნის ეკონომიური ძლიერება, შევქმნათ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სიუხვე.

ამუშავებულია რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ლითონსამსხმელო საამქრო

6 თებერვალს საზეიმო ვითარებაში ამუშავებულ იქნა რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ლითონსამსხმელო საამქრო, რომელიც თავისი სიმძლავრით ერთ-ერთი უდიდესი ლითონსამსხმელო საწარმოა ამიერკავკასიაში.

თუჯის პირველი დნობა საამქროში მოწყობილ სამტონიან ბოვში ჩაატარეს ახალგაზრდა ქართველმა მეტალურგებმა, — მეყალიბეებმა გივი პატარავამ, გუგული კუპუხიძემ, ალექსი თინიკაშვილმა, სერგი თაბუკაშვილმა, მიხეილ ილურიძემ, ლითონის ჩამომსხმელებმა — გიორგი გოქსაძემ, ნესტარ ბუაძემ, გურამ მაისაშვილმა და პ. ფოფხაძემ. მებოვედ მუშაობდა ამხ. სილაური და ხიდისებრ ამწეზე, რომელიც ბოვს უწევდა მომსახურებას — გიორგი გიორგობიანი.

ლითონის პირველ დნობას ხელმძღვანელობდნენ ქარხნის მთავარი მექანიკოსი ა. დგებუაძე და სამსხმელო საამქროს უფროსი გ. ბასილაშვილი. კაზმი მოამზადეს ამხ. ნაცვლიშვილმა და ლალაზაშვილმა.

ამ დღეს ახალგაზრდა მეტალურგებმა 10,5 ტონა თუჯის ნადნობი მოგვცეს.

კ ა ნ ო ნ ი

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის 1948 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

1. დამტკიცდეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ წარმოდგენილი სსრ კავშირის 1948 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს საბიუჯეტო კომისიების მოხსენებათა გამო მიღებული ცვლილებებით, სახელდობრ: სულ შემოსავლის ნაწილში 429.149.697 ათასი მანეთი და სულ გასავლის ნაწილში 388.040.597 ათასი მანეთი, გასავალზე შემოსავლის 41.109.100 ათასი მანეთის გადამეტებით და, გარდა ამისა, 1949 წლის 1 იანვრისათვის რესპუბლიკური და ადგილობრივი ბიუჯეტებით საბიუჯეტო სახსრების გარდამავალი ნაშთები 2.637.274 ათასი მანეთის რაოდენობით.

2. ამ კანონის პირველი მუხლის შესაბამისად დამტკიცდეს 1948 წლის საკავშირო ბიუჯეტის შემოსავალი 341.077.924 ათასი მანეთის რაოდენობით და გასავალი 299.968.824 ათასი მანეთის რაოდენობით, გასავალზე შემოსავლის 41.109.100 ათასი მანეთის გადამეტებით.

3. დამტკიცდეს მოკავშირე რესპუბლიკების 1948 წლის სახელმწიფო ბიუჯეტები შემდეგი თანხების რაოდენობით:

	შემოსავლის ნაწილში	გასავლის ნაწილში
	(ათას მანეთობით)	
რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკა	49.316.598	49.316.598
აქედან: რესპუბლიკური ბიუჯეტი	38.452.595	12.127.173
ადგილობრივი ბიუჯეტები	10.864.003	37.189.425
უკრაინის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	15.443.354	15.443.354
აქედან: რესპუბლიკური ბიუჯეტი	13.334.526	5.159.359
ადგილობრივი ბიუჯეტები	2.108.828	10.283.959
ბელორუსიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	3.642.375	3.642.375
აქედან: რესპუბლიკური ბიუჯეტი	3.232.640	1.419.994
ადგილობრივი ბიუჯეტები	409.735	2.222.381
უზბეკეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	3.296.646	3.296.646
აქედან: რესპუბლიკური ბიუჯეტი	2.910.710	1.617.980
ადგილობრივი ბიუჯეტები	385.936	1.678.666
ყაზახეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	3.163.124	3.163.124
აქედან რესპუბლიკური ბიუჯეტი	2.730.139	1.219.823
ადგილობრივი ბიუჯეტები	432.985	1.943.301
საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	2.336.582	2.336.582
აქედან: რესპუბლიკური ბიუჯეტი	2.050.160	1.023.639
ადგილობრივი ბიუჯეტები	286.422	1.312.943
აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	1.872.926	1.872.926
აქედან: რესპუბლიკური ბიუჯეტი	1.617.835	811.728
ადგილობრივი ბიუჯეტები	255.091	1.061.198
ლიტვის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	1.199.120	1.199.120
აქედან: რესპუბლიკური ბიუჯეტი	1.046.762	627.847
ადგილობრივი ბიუჯეტები	152.358	571.273
მოლდავეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	1.008.579	1.008.579
აქედან: რესპუბლიკური ბიუჯეტი	925.705	398.761
ადგილობრივი ბიუჯეტები	82.874	609.818
ლატვიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	1.450.847	1.450.847
აქედან: რესპუბლიკური ბიუჯეტი	1.133.089	824.386
ადგილობრივი ბიუჯეტები	317.758	626.461
ყირგიზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	930.902	930.902
აქედან: რესპუბლიკური ბიუჯეტი	806.565	402.907
ადგილობრივი ბიუჯეტები	124.337	527.995
ტაჯიკეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	945.400	945.400
აქედან: რესპუბლიკური ბიუჯეტი	852.271	441.902
ადგილობრივი ბიუჯეტები	93.129	503.498
სომხეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	1.056.367	1.056.367
აქედან: რესპუბლიკური ბიუჯეტი	982.203	583.113
ადგილობრივი ბიუჯეტები	74.164	473.254
თურქმენეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	836.760	836.760
აქედან: რესპუბლიკური ბიუჯეტი	739.994	440.524
ადგილობრივი ბიუჯეტები	96.766	396.236
ესტონეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	922.901	922.901
აქედან: რესპუბლიკური ბიუჯეტი	798.431	539.007
ადგილობრივი ბიუჯეტები	124.470	383.894
კარელია-ფინეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	649.292	649.292
აქედან: რესპუბლიკური ბიუჯეტი	611.600	445.201
ადგილობრივი ბიუჯეტები	37.692	204.091
სულ რესპუბლიკური და ადგილობრივი ბიუჯეტები	88.071.773	88.071.773
აქედან: რესპუბლიკური ბიუჯეტები	72.225.225	28.083.380
ადგილობრივი ბიუჯეტები	15.846.548	59.988.393

4. დაწესდეს რესპუბლიკური და ადგილობრივი ბიუჯეტების საბიუჯეტო სახსრების გარდამავალი ნაშთები 1949 წლის 1 იანვრისათვის შემდეგი ოდენობით: რუსეთის სფსრ რესპუბლიკაში — 1.476.275 ათასი მანეთი, უკრაინის სს რესპუბლიკაში — 462.579 ათასი მანეთი, ბელორუსიის სს რესპუბლიკაში — 109.146 ათასი მანეთი, უზბეკეთის სს რესპუბლიკაში—98.746 ათასი მანეთი, ყაზახეთის სს რესპუბლიკაში — 94.748 ათასი მანეთი, საქართველოს სს რესპუბლიკაში — 70.009 ათასი მანეთი, აზერბაიჯანის სს რესპუბლიკაში — 56.104 ათასი მანეთი, ლიტვის სს რესპუბლიკაში — 35.929 ათასი მანეთი, მოლდავეთის სს რესპუბლიკაში — 30.210 ათასი მანეთი, ლატვიის სსრ რესპუბლიკაში— 43.473 ათასი მანეთი, ყირგიზეთის სს რესპუბლიკაში — 27.891 ათასი მანეთი, ტაჯიკეთის სს რესპუბლიკაში — 28.324 ათასი მანეთი, სომხეთის სს რესპუბლიკაში — 31.655 ათასი მანეთი, თურქმენეთის სს რესპუბლიკაში — 25.069 ათასი მანეთი, ესტონეთის სს რესპუბლიკაში — 27.650 ათასი მანეთი, კარელია-ფინეთის სს რესპუბლიკაში — 19.466 ათასი მანეთი.

5. დამტკიცდეს ანარიცხები რესპუბლიკური ბიუჯეტებიდან ავტონომიური სს რესპუბლიკებისა და ადგილობრივი საბჭოების ბიუჯეტებში გადასარიცხავად 1948 წელს შემდეგი თანხების ოდენობით:

	(ათას მანეთობით)
რუსეთის საბჭოთა სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკა	26.325.422
უკრაინის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	8.175.131
ბელორუსიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	1.812.646
უზბეკეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	1.292.730
ყაზახეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	1.510.316
საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	1.026.521
აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	806.107
ლიტვის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	418.915
მოლდავეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	526.944
ლატვიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	308.703
ყირგიზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	403.658
ტაჯიკეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	410.369
სომხეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	399.090
თურქმენეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	299.470
ესტონეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	259.424
კარელია-ფინეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	166.399
სულ:	44.141.845

6. დაწესდეს 1948 წლისათვის ანარიცხები საერთო საკავშირო სახელმწიფო გადასახადებიდან და შემოსავლიდან რესპუბლიკურ და ადგილობრივ ბიუჯეტებში გადასარიცხავად შემდეგი ოდენობით:

ა) შემოსავალი ბრუნვის გადასახადიდან: რსფს რესპუბლიკა — 7,6 პროცენტი, უკრაინის სს რესპუბლიკა — 17,5 პროცენტი, ბელორუსიის სს რესპუბლიკა — 30,0 პროცენტი, უზბეკეთის სს რესპუბლიკა — 19,5 პროცენტი, ყაზახეთის სს რესპუბლიკა—21,3 პროცენტი, საქართველოს სს რესპუბლიკა — 19,5 პროცენტი, აზერბაიჯანის სს რესპუბლიკა — 18,7 პროცენტი, ლიტვის სს რესპუბლიკა— 22,7 პროცენტი, მოლდავეთის სს რესპუბლიკა — 40,5 პროცენტი, ლატვიის სს რესპუბლიკა — 9,0 პროცენტი, ყირგიზეთის სს რესპუბლიკა — 25,8 პროცენტი, ტაჯიკეთის სს რესპუბლიკა—37,2 პროცენტი, სომხეთის სს რესპუბლიკა — 37,2 პროცენტი, თურქმენეთის სს რესპუბლიკა — 21,3 პროცენტი, ესტონეთის სს რესპუბლიკა— 16,4 პროცენტი, კარელია-ფინეთის სს რესპუბლიკა — 45,8 პროცენტი;

ბ) მოსახლეობისაგან საშემოსავლო გადასახადის სახით შემოსული თანხებიდან, კოლმეურნეთა და ერთპიროვნულ მეურნეთა სასოფლო-სამეურნეო გადასახადის სახით შემოსული თანხებიდან, სსრ კავშირის უცოლო და უქმარო, მარტოხელა და მცირე ოჯახიან მოქალაქეთაგან გადასახადის სახით შემოსული თანხებიდან, მანქანა-ტრაქტორთა სადგურების შემოსავლიდან და მოსახლეობაში გავრცელებული სახელმწიფო სესხის თანხიდან — 50 პროცენტი.

7. დამტკიცდეს სსრ კავშირის 1946 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიში შემოსავლის ნაწილში — 325.437.136 ათასი მანეთი; გასავლის ნაწილში — 307.545.479 ათასი მანეთი შემოსავლის გასავალზე 17.891.657 ათასი მანეთის გადამეტებით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. შვერნიკი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი, 1948 წლის 4 თებერვალი.

ი. ბ. სტალინმა სადილი გამართა რუმინეთის მთავრობის დელეგაციის პატივსაცემად

5 თებერვალს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ი. ბ. სტალინმა კრემლში სადილი გამართა რუმინეთის მთავრობის დელეგაციის პატივსაცემად.

სადილზე იყვნენ რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ბ-ნი პ. გროზა, საგარეო საქმეთა მინისტრი ქ-ნი ა. პაუკერი, მრეწველობისა და ვაჭრობის მინისტრი ბ-ნი გ. გეორგიუ-დეჟი, შრომისა და სოციალური უზრუნველყოფის მინისტრი ბ-ნი ლ. რადაჩანუ, ფინანსთა მინისტრი ბ-ნი ვ. ლუკა, რუმინეთის ელჩი სსრ კავშირში ბ-ნი გ. ვლადესკუ-რაკოასა და სხვა ოფიციალური პირები.

საბჭოთა მხრივ სადილზე იყვნენ ვ. მ. მოლოტოვი, ა. ა. ჟდანოვი, ლ. პ. ბერია, კ. ე. ვოროშილოვი, გ. მ. მალენკოვი, ა. ი. მიქოიანი, ლ. მ. კაგანოვიჩი, ნ. ა. ვოზნესენსკი, ნ. ა. ბულგანინი, ა. ი. ვიშინსკი, ა. დ. კრუტიკოვი, ვ. ა. ზორინი, ვ. ნ. მერკულოვი, ი. თ. სემიჩასტნოვი, ელჩი რუმინეთში ს. ი. ქავთარაძე, ავიაციის მარშალი კ. ა. ვერშინინი, ადმირალი ა. გ. გოლოვკო, გენერალ-პოლკოვნიკი ი. ზ. სუსაიკოვი, სავაჭრო წარმომადგენელი რუმინეთში ა. ნ. ფინოგენოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს პასუხისმგებელი თანამშრომლები ა. ა. ლავრიშჩევი, თ. თ. მოლოჩკოვი, ბ. თ. პოდცეროზი.

სადილმა გულთბილ და მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა. (საკდესი).

დარბაზობა რუმინეთის საელჩოში მოსკოვს

5 თებერვალს რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩმა სსრ კავშირში ბ-ნმა რადესკუ-რაკოასამ დარბაზობა გამართა მოსკოვში მყოფი რუმინეთის მთავრობის დელეგაციის პატივსაცემად.

დარბაზობას დაესწრნენ რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ბ-ნი პ. გროზა, საგარეო საქმეთა მინისტრი ქ-ნი ა. პაუკერი, მრეწველობისა და ვაჭრობის მინისტრი ბ-ნი გ. გეორგიუ-დეჟი, შრომისა და სოციალური უზრუნველყოფის მინისტრი ბ-ნი ლ. რადაჩანუ, ფინანსთა მინისტრი ბ-ნი ვ. ლუკა და სხვა ოფიციალური პირები.

საბჭოთა მხრივ დარბაზობას დაესწრნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე და საგარეო საქმეთა მინისტრი ვ. მ. მოლოტოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეები ა. ი. ვიშინსკი და ვ. ა. ზორინი, საგარეო ვაჭრობის მინისტრის მოადგილეები ა. დ. კრუტიკოვი, ი. თ. სემიჩასტნოვი, სსრ კავშირის ფინანსთა მინისტრის მოადგილე ა. ა. პოსკონოვი, სსრ კავშირის ელჩი რუმინეთში ს. ი. ქავთარაძე, საბჭოთა კავშირის მარშალი ს. მ. ბუდიონი, სსრ კავშირის სავაჭრო წარმომადგენელი რუმინეთში ა. ნ. ფინოგენოვი, ქალაქ მოსკოვის კომენდანტი გენერალ-ლეიტენანტი კ. რ. სინილოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს, სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის სამინისტროს პასუხისმგებელი თანამშრომლები, საბჭოთა საზოგადოებრიობისა და საბჭოთა პრესის წარმომადგენლები.

სტუმრებს შორის იყვნენ მოსკოვში აკრედიტებული საელჩოებისა და მისიების მეთაურები, აგრეთვე უცხოელი კორესპონდენტები (საკდესი).

კ ა ნ ო ნ ი

„საავტომობილო მრეწველობის სამინისტროს საავტომობილო და სატრაქტორო მრეწველობის სამინისტროდ გარდაქმნის თაობაზე“ და „სსრ კავშირის სატყეო მეურნეობის სამინისტროს შექმნის თაობაზე“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

1. დამტკიცდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1947 წლის 23 აგვისტოს ბრძანებულება „საავტომობილო მრეწველობის სამინისტროს საავტომობილო და სატრაქტორო მრეწველობის სამინისტროდ გარდაქმნის შესახებ“.

ამის შესაბამისად სსრ კავშირის კონსტიტუციის 77-ე მუხლში სიტყვები „საავტომობილო მრეწველობის“ შეიცვალოს სიტყვებით „საავტომობილო და სატრაქტორო მრეწველობის“.

2. დამტკიცდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1947 წლის 4 აპრილის ბრძანებულება „სსრ კავშირის სატყეო მეურნეობის სამინისტროს შექმნის შესახებ“.

ამის შესაბამისად სსრ კავშირის კონსტიტუციის 78-ე მუხლს სიტყვების შემდეგ „მსუბუქი მრეწველობის“ დაემატოს სიტყვები „სატყეო მეურნეობის“.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. შვერნიკი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი
მოსკოვი, კრემლი, 1948 წლის 4 თებერვალი.

კ ა ნ ო ნ ი

„ალტაის მხარის ოიროტის ავტონომიური ოლქის გადარქმევის თაობაზე“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1948 წლის 7 იანვრის ბრძანებულება „ალტაის მხარის ოიროტის ავტონომიური ოლქის გადარქმევის შესახებ“.

ამის შესაბამისად სსრ კავშირის კონსტიტუციის 22-ე მუხლს სიტყვების შემდეგ „ადიგეის“ დაემატოს სიტყვები „მთიანი ალტაის“ და სიტყვა „ოიროტის“ ამოიშალოს სსრ კავშირის კონსტიტუციის 22-ე მუხლიდან.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. შვერნიკი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი
მოსკოვი, კრემლი, 1948 წლის 4 თებერვალი.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ ამხანაგ ნ. ა. ბულგანინის დანიშვნის თაობაზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს ამხანაგი ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე **ბულგანინი** სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. შვერნიკი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი
მოსკოვი, კრემლი, 1948 წლის 4 თებერვალი.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ ამხანაგ ლ. მ. კაგანოვიჩის დანიშვნის თაობაზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს ამხანაგი ლაზარე მოსეს-ძე **კაგანოვიჩი** სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. შვერნიკი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი
მოსკოვი, კრემლი, 1948 წლის 4 თებერვალი.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ ამხანაგ ვ. ა. მალიშევის დანიშვნის თაობაზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს ამხანაგი ვიაჩესლავ ალექსანდრეს-ძე **მალიშევი** სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. შვერნიკი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი
მოსკოვი, კრემლი, 1948 წლის 4 თებერვალი.

სსრ კავშირის მინისტრების დანიშვნის თაობაზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო ადგენს დამტკიცდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი:

სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების მინისტრად ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე **ბულგანინის;**

სსრ კავშირის საშენ მასალათა მრეწველობის მინისტრად სიმონ ზაქარიას-ძე **გინზბურგის;**

სსრ კავშირის სატყეო მრეწველობის მინისტრად გიორგი მიხეილის-ძე **ორლოვის;**

სსრ კავშირის სატყეო მეურნეობის მინისტრად გერმანე პეტრეს-ძე **მოტოვილოვის;**

სსრ კავშირის კავშირგაბმულობის საშუალებათა მრეწველობის მინისტრად გენადი ვასილის-ძე **ალექსენკოს;**

სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის მინისტრად ნიკოლოზ ერმოლოზის-ძე **ჩესნოკოვის;**

სსრ კავშირის სამხედრო და სამხედრო-საზღვაო საწარმოთა მშენებლობის მინისტრად ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე **დიგაის;**

სსრ კავშირის საავტომობილო და სატრაქტორო მრეწველობის მინისტრად სტეფანე აკოპის-ძე **აკოპოვის;**

სსრ კავშირის ცელულოზისა და ქაღალდის მრეწველობის მინისტრად ლეონიდე პავლეს-ძე **გრაჩევის;**

სსრ კავშირის სატრანსპორტო მანქანათმშენებლობის მინისტრად ივანე ისიდორეს-ძე **ნოსენკოს;**

სსრ კავშირის იუსტიციის მინისტრად კონსტანტინე პეტრეს-ძე **გორშენინის** დანიშვნის შესახებ;

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. შვერნიკი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი
მოსკოვი, კრემლი, 1948 წლის 4 თებერვალი.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარედ ამხ. პ. ი. ლებედევის დანიშვნის თაობაზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარედ ამხანაგ პოლიკარპე **ივანეს-ძე ლებედევის** დანიშვნის შესახებ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. შვერნიკი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი
მოსკოვი, კრემლი, 1948 წლის 4 თებერვალი.

სსრ კავშირის გენერალური პროკურორის მოვალეობათაგან ამხ. კ. პ. გორშენინის განთავისუფლების შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

განთავისუფლდეს ამხ. კონსტანტინე პეტრეს-ძე **გორშენინი** სსრ კავშირის გენერალური პროკურორის მოვალეობათაგან, სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. შვერნიკი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი
მოსკოვი, კრემლი, 1948 წლის 4 თებერვალი.

„სსრ კავშირის მოქალაქეთა და უცხოელთა შორის ქორწინების აკრძალვის თაობაზე“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

1. დამტკიცდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1947 წლის 15 თებერვლის ბრძანებულება „სსრ კავშირის მოქალაქეთა და უცხოელთა შორის ქორწინების აკრძალვის შესახებ“.

2. ცნობილ იქნას ძალადაკარგულად 1938 წლის 19 იანვრის კანონის მე-5 მუხლი „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მოქალაქეობის შესახებ“.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. შვერნიკი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი
მოსკოვი, კრემლი, 1948 წლის 4 თებერვალი.

„სიკვდილით დასჯის გაუქმების თაობაზე“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1947 წლის 26 მაისის ბრძანებულება „სიკვდილით დასჯის გაუქმების შესახებ“.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. შვერნიკი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი
მოსკოვი, კრემლი, 1948 წლის 4 თებერვალი.

„მოქალაქეთა პირადი საკუთრების დაცვის გაძლიერების თაობაზე“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1947 წლის 4 ივნისის ბრძანებულება „მოქალაქეთა პირადი საკუთრების დაცვის გაძლიერების შესახებ“

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. შვერნიკი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი
მოსკოვი, კრემლი, 1948 წლის 4 თებერვალი.

„სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების დატაცებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის თაობაზე“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1947 წლის 4 ივნისის ბრძანებულება „სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების დატაცებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ“.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. შვერნიკი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი
მოსკოვი, კრემლი, 1948 წლის 4 თებერვალი.

„სახელმწიფო საიდუმლოების გამჟღავნებისა და სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი დოკუმენტების დაკარგვისათვის პასუხისმგებლობის თაობაზე“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1947 წლის 9 ივნისის ბრძანებულება „სახელმწიფო საიდუმლოების გამჟღავნებისა და სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი დოკუმენტების დაკარგვისათვის პასუხისმგებლობის შესახებ“.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. შვერნიკი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი
მოსკოვი, კრემლი, 1948 წლის 4 თებერვალი.

სსრ კავშირის გენერალური პროკურორის დანიშვნის შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დაინიშნოს სსრ კავშირის გენერალურ პროკურორად ამხანაგი გრიგოლ ნიკოლოზის-ძე **საფონოვი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. შვერნიკი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი
მოსკოვი, კრემლი, 1948 წლის 4 თებერვალი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილედ ამხ. ი. ა. ვლასოვის არჩევის შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილედ არჩეულ იქნას ამხანაგი ივანე ალექსის-ძე **ვლასოვი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. შვერნიკი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი
მოსკოვი, კრემლი, 1948 წლის 4 თებერვალი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილედ ამხ. ე. ნ. პიალის არჩევის შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილედ არჩეულ იქნას ამხანაგი ედუარდ ნიკოლოზის-ძე **პიალი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. შვერნიკი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი
მოსკოვი, კრემლი, 1948 წლის 4 თებერვალი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობათაგან ამხ. ა. ყაზაყპაევის განთავისუფლების შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

განთავისუფლდეს ამხ. აბდისამეტ **ყაზაყპაევი** სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობათაგან.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. შვერნიკი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი
მოსკოვი, კრემლი, 1948 წლის 4 თებერვალი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილედ ამხ. დ. ქერიმბაევის არჩევის შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილედ არჩეულ იქნას ამხ. დანიალ ქერიმბაევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. შვერნიკი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი
მოსკოვი, კრემლი, 1948 წლის 4 თებერვალი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნის დეპუტატ ა. თ. გორკინის მოხსენება

ამხანაგო დეპუტატებო! სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მესამე და მეოთხე სესიებს შორის განვლილ პერიოდში გამოსცა ბრძანებულებანი, რომლებიც სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ უნდა დაამტკიცოს.

1947 წლის 4 აპრილის ბრძანებულებით შეიქმნა სსრ კავშირის სატყეო მეურნეობის საკავშირო — რესპუბლიკური სამინისტრო და 1947 წლის 23 აგვისტოს ბრძანებულებით საავტომობილო მრეწველობის საერთო-საკავშირო სამინისტრო გარდაქმნილ იქნა სსრ კავშირის საავტომობილო და სატრაქტორო მრეწველობის საერთო-საკავშირო სამინისტროდ.

პრეზიდიუმმა 1948 წლის 7 იანვრის ბრძანებულებით დაამტკიცა რსფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წარდგინება ოიროტიის ავტონომიური ოლქისათვის მთიანი ალტაის ავტონომიური ოლქის დარქმევის შესახებ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დასამტკიცებლად წარმოდგენილ ამ ბრძანებულებათა გამოცემასთან დაკავშირებით საჭიროა სათანადო ცვლილებანი და დამატებანი იქნას შეტანილი სსრ კავშირის კონსტიტუციის 22 მუხლში, სადაც ჩამოთვლილია რსფსრ შემადგენლობაში შემავალი მხარეები, ოლქები, ავტონომიური რესპუბლიკები და ავტონომიური ოლქები, და სსრ კავშირის კონსტიტუციის 77 და 78 მუხლებში, რომლებიც შეიცავენ საერთო-საკავშირო და საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროების სიას.

მესამე სესიის შემდეგ განვლილ პერიოდში პრეზიდიუმმა გამოსცა ბრძანებულებანი სსრ კავშირის ცალკეული მინისტრების განთავისუფლების შესახებ და ბრძანებულებანი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეებისა და სსრ კავშირის მინისტრების დანიშვნის შესახებ.

1947 წლის 3 მარტის ბრძანებულებით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დააკმაყოფილა ამხანაგ იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის თხოვნა ძირითადი სამუშაოთი დიდი გადატვირთულობის გამო სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალთა მინისტრის მოვალეობისაგან მისი განთავისუფლების შესახებ. ამავე დროს პრეზიდიუმმა არმიის გენერალი, ამჟამად საბჭოთა კავშირის მარშალი ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე ბულგანინი დანიშნა სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალთა მინისტრად და 1947 წლის 5 მარტის ბრძანებულებით დანიშნა იგი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ.

1947 წლის 18 დეკემბერს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ამხ. ლაზარე მოსეს-ძე კაგანოვიჩი დანიშნა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ.

1947 წლის 19 დეკემბერს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ამხ. ვიაჩესლავ ალექსანდრეს-ძე მალიშევი დანიშნა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ და, ამასთან დაკავშირებით, 1947 წლის 29 დეკემბრის ბრძანებულებით გაათავისუფლა იგი სსრ კავშირის სატრანსპორტო მანქანათმშენებლობის მინისტრის მოვალეობისაგან. 1947 წლის 29 დეკემბრის ბრძანებულებით სსრ კავშირის სატრანსპორტო მანქანათმშენებლობის მინისტრად დანიშნულია ამხ. ივანე ისიდორეს-ძე ნოსენკო.

სატყეო მეურნეობის საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროს შექმნისას პრეზიდიუმმა 1947 წლის 4 აპრილის ბრძანებულებით სსრ კავშირის სატყეო მეურნეობის მინისტრად დანიშნა ამხ. გერმანე პეტრეს-ძე მოტოვილოვი. 1947 წლის 23 აგვისტოს ბრძანებულებით სსრ კავშირის საავტომობილო და სატრაქტორო მრეწველობის მინისტრად დამტკიცებულ იქნა ამხ. სტეფანე აკოფის-ძე აკოფოვი, რომელიც მანამდე საავტომობილო მრეწველობის მინისტრად მუშაობდა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1947 წლის 12 მარტის ბრძანებულებებით სსრ კავშირის სატყეო მრეწველობის მინისტრის მოვალეობისაგან გაათავისუფლა ამხ. მ. ი. სალტიკოვი და სსრ კავშირის სატყეო მრეწველობის მინისტრად დანიშნა ამხ. გიორგი მიხეილის-ძე ორლოვი და გაათავისუფლა იგი ცელულოზისა და ქაღალდის მრეწველობის მინისტრის მოვალეობისაგან. ცელულოზისა და ქაღალდის მრეწველობის მინისტრად პრეზიდიუმმა 1947 წლის 28 ნოემბრის ბრძანებულებით დანიშნა ამხ. ლეონიდე პავლეს-ძე გრაჩოვი.

1947 წლის 30 ივლისს პრეზიდიუმმა სსრ კავშირის კავშირგაბმულობის საშუალებათა მრეწველობის მინისტრის მოვალეობისაგან გაათავისუფლა ამხ. ი. გ. ზუბოვიჩი სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო და სსრ კავშირის კავშირგაბმულობის საშუალებათა მრეწველობის მინისტრად დანიშნა ამხ. გენადი ვასილის-ძე ალექსენკო.

1947 წლის 4 ივნისს პრეზიდიუმმა სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის მინისტრის მოვალეობისაგან გაათავისუფლა ამხ. ს. გ. ლუკინი ავადმყოფობის გამო და სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის მინისტრად დანიშნა ამხ. ნიკოლოზ ერმალოზის-ძე ჩესნოკოვი.

პრეზიდიუმმა 1947 წლის 11 მარტის ბრძანებულებით სიმონ ზაქარიას-ძე გინზბურგი დანიშნა სსრ კავშირის საშენ მასალათა მრეწველობის მინისტრად და ამასთან დაკავშირებით 1947 წლის 14 ივნისის ბრძანებულებით გაათავისუფლა იგი სსრ კავშირის სამხედრო და სამხედრო-საზღვაო საწარმოთა მშენებლობის მინისტრის მოვალეობისაგან. სსრ კავშირის სამხედრო და სამხედრო-საზღვაო საწარმოთა მშენებლობის მინისტრად პრეზიდიუმმა 1947 წლის 14 ივნისის ბრძანებულებით დანიშნა ამხ. ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე დიგაი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1948 წლის 26 იანვრის ბრძანებულებით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობისაგან გაათავისუფლა ამხ. მ. ბ. ხრაპჩენკო, რადგან მან ვერ უზრუნველჰყო ხელოვნების საქმეთა კომიტეტის სწორი ხელმძღვანელობა. პრეზიდიუმმა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშნა ამხ. პოლიკარპე ივანეს-ძე ლებედევი.

1948 წლის 29 იანვრის ბრძანებულებით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა სსრ კავშირის იუსტიციის მინისტრის მოვალეობისაგან გაათავისუფლა ამხ. ნ. მ. რიჩკოვი, რადგან მან თავი ვერ გაართვა სამუშაოს, და სსრ კავშირის იუსტიციის მინისტრად დანიშნა ამხ. კონსტანტინე პეტრეს-ძე გორშენინი.

სსრ კავშირის იუსტიციის მინისტრად ამხ. კ. პ. გორშენინის დანიშვნასთან დაკავშირებით შემოტანილია წინადადება მისი განთავისუფლების შესახებ სსრ კავშირის გენერალური პროკურორის მოვალეობისაგან.

ბრძანებულებანი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეებისა და სსრ კავშირის მინისტრების დანიშვნის შესახებ პრეზიდიუმს, სსრ კავშირის კონსტიტუციის 49 მუხლის შესაბამისად, შემოაქვს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დასამტკიცებლად.

შემდეგ პრეზიდიუმს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დასამტკიცებლად შემოაქვს 1947 წლის 15 თებერვლის ბრძანებულება „სსრ კავშირის მოქალაქეთა და უცხოელთა შორის ქორწინებათა აკრძალვის შესახებ“. ამ ბრძანებულების გამოცემასთან დაკავშირებით გაუქმებულად უნდა ჩაითვალოს მეხუთე მუხლი კანონისა „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მოქალაქეობის შესახებ“. ამ მუხლში ნათქვამია, რომ სსრ კავშირის მოქალაქე კაცისა თუ ქალის ქორწინება ისეთ პირთან, რომელიც სსრ კავშირის მოქალაქე არ არის, არ იწვევს მოქალაქეობის შეცვლას.

შემდეგ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დასამტკიცებლად წარმოდგენილია: 1947 წლის 26 მაისის ბრძანებულება „სიკვდილით დასჯის გაუქმების შესახებ“, 1947 წლის 4 ივნისის ბრძანებულებანი „მოქალაქეთა პირადი საკუთრების დაცვის გაძლიერების შესახებ“ და „სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების დატაცებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ“ და 1947 წლის 9 ივნისის ბრძანებულება „სახელმწიფო საიდუმლოების გამჟღავნებისათვის და სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი დოკუმენტების დაკარგვისათვის პასუხისმგებლობის შესახებ“.

* * *

ამხანაგო დეპუტატებო! მოსკოვის, ლენინგრადისა და ბელორუსიის სსრ დეპუტატთა ჯგუფმა დამავალა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს განსახილველად შემოვიტანო წინადადება სსრ კავშირის გენერალურ პროკურორად ამხ. გრიგოლ ნიკოლოზის-ძე საფონოვის დანიშვნის შესახებ, რომელიც ამჟამად მუშაობს სსრ კავშირის გენერალური პროკურორის მოადგილედ საერთო საკითხებში.

ამხანაგო დეპუტატებო! სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პირველ სესიაზე რსფს რესპუბლიკისაგან არჩეული არ ყოფილა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე.

რსფს რესპუბლიკის დეპუტატთა ჯგუფს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს განსახილველად შემოაქვს წინადადება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილედ რსფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხ. ივანე ალექსის-ძე ვლასოვის არჩევის შესახებ.

ესტონეთის სს რესპუბლიკის დეპუტატებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილისა და ესტონეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ი. ი. ვარესის გარდაცვალებასთან დაკავშირებით წინადადება შემოაქვთ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილედ არჩეულ იქნას ამხ. ედუარდ ნიკოლოზის-ძე პიალი, რომელიც ამჟამად ესტონეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეა.

ყაზახეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პირველ სესიაზე ყაზახეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ამხ. დანიალ ქერიმბაევი. ამასთან დაკავშირებით ყაზახეთის სსრ დეპუტატებს წინადადება შემოაქვთ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობისაგან განთავისუფლებულ იქნას ამხ. აბდისამეთ ყაზაყპაევი და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილედ არჩეულ იქნას ამხ. დანიალ ქერიმბაევი.

ეს წინადადებანი შემოტანილია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს განსახილველად.

გავამართლოთ ხალხის ნდობა

ქართველმა ხალხმა საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით მიმდინარე წლის 11 იანვარს აირჩია ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები — მშრომელთა დეპუტატების საოლქო (სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქისა), რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოები.

მოსამზადებელი კამპანია და ადგილობრივი საბჭოების არჩევნები ჩატარდა მთელი ქართველი ხალხის უდიდესი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში.

2.096.945 ამომრჩევლიდან კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 2.096.676 კაცმა, ანუ ყველა ამომრჩეველთა 99,99 პროცენტმა. კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატებს ხმა მისცა: სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო საბჭოში კენჭისყრის მონაწილე ამომრჩეველთა 99,77 პროცენტმა, რაიონულ საბჭოებში — 99,93 პროცენტმა, საქალაქო საბჭოებში — 99,86 პროცენტმა, თბილისის რაიონულ საბჭოებში — 99,85 პროცენტმა, სასოფლო და სადაბო საბჭოებში — კენჭისყრის მონაწილე ამომრჩეველთა 99,93 პროცენტმა.

გალის, ქედის, ლენინგორის, აბაშის, ჩხოროწყუს, ქუთაისის, ონის, მაიაკოვსკის, ჩხარის, ბოლნისის რაიონებში არჩევნებზე გამოცხადებულ ამომრჩეველთა მთელმა ასმა პროცენტმა ყველა ადგილობრივ საბჭოში ხმა მისცა კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატებს. წყალტუბოს, ცხაკაიას, ხობის, წალენჯიხის, ქვემო სვანეთის, დმანისის, კასპისა და ჩოხატაურის რაიონებში აღმოჩნდა მხოლოდ თითო ბიულეტენი, რომლებშიც წაშლილი იყო დეპუტატობის კანდიდატთა გვარები.

კენჭისყრის ეს შედეგები ცხადჰყოფენ, რომ ამომრჩევლებმა ერთსულოვნად მისცეს ხმა კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატებს, რომ დეპუტატობის კანდიდატებად დასახელებული იყვნენ ღირსეული ადამიანები, რომლებმაც პრაქტიკული მუშაობით დაამტკიცეს თავისი ერთგულება ლენინ-სტალინის პარტიის საქმისადმი, საბჭოთა სამშობლოსადმი.

საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების ყველა ადგილობრივ საბჭოში არჩეულია 26.652 დეპუტატი, მათ შორის: სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო საბჭოში — 58 დეპუტატი, რაიონულ საბჭოებში — 2.764, საქალაქო საბჭოებში — 2.213, თბილისის რაიონულ საბჭოებში — 1.026, სადაბო საბჭოებში — 631 და სასოფლო საბჭოებში — 19.960 დეპუტატი.

დეპუტატთა შორის არის 9.513 ქალი, ანუ 35,70 პროცენტი და 14.217 უპარტიო, ანუ 53,35 პროცენტი.

ადგილობრივი საბჭოების დეპუტატთა შორის ბევრია ჩვენი რესპუბლიკის მოწინავე ადამიანი — მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის სტახანოველები, კულტურის, ხელოვნებისა და მეცნიერების წარმომადგენლები: სტალინური პრემიის ლაურეატი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი — პოეტი გ. ლეონიძე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრები — ცნობილი მეცნიერები ვ. გულისაშვილი, ვ. თოფურია, ი. ქუთათელაძე, გ. მუხაძე, ნ. ბერძენიშვილი, ქ. ზავრიევი, წევრ-კორესპონდენტი დ. სოსნოვსკი, სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატი ნ. დუმბაძე, სახალხო მხატვარი — პროფესორი უ. ჯაფარიძე, საქართველოს სსრ სახალხო არტისტები — სტალინური პრემიის ლაურეატები ვერიკო ანჯაფარიძე, ეკატერინე სოხაძე, გ. დავითაშვილი, დ. ანდღულაძე, სახალხო არტისტი, პროფესორი დ. არაყიშვილი, სოციალისტური შრომის გმირი სოფიო მარიდაშვილი, სახელგანთქმული გენერალი გ. ყურაშვილი, ცნობილი ზეინკალი პ. მუხრაგულაშვილი, ხარატი ლ. კილაძე, მებრძმედე ი. ბურდული და ბევრი სხვა.

20 ათასამდე დეპუტატს აქვს მთავრობის ჯილდოები — ორდენები და მედლები.

მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს პირველ დეპუტატად ერთსულოვნად არჩეულია საბჭოთა ხალხის დიდი ბელადი და მასწავლებელი, მთელი პროგრესული კაცობრიობის იმედი ამხანაგი სტალინი.

არჩევნების დღეს, 11 იანვარს თბილისის საქალაქო საბჭოს არჩევნების № 53 საარჩევნო ოლქის ამომრჩევლები, იმის გამო, რომ ამხანაგმა სტალინმა დიდი პატივი დასდო მათ და დათანხმდა კენჭი ეყარა ამ საარჩევნო ოლქში, უდიდესი სიხარულით, დილაადრიან მოვიდნენ საარჩევნო უბანში და ერთსულოვნად მისცეს ხმა დიდ ბელადსა და მასწავლებელს. ბევრი ამომრჩეველი სხვა უბნებიდან მოვიდა, თან მოიტანა ხმის მიცემის უფლების მოწმობა, რათა თავისი ხმა დიდი სტალინისათვის მიეცა. ამ საარჩევნო უბანში ყუთის გახსნის შემდეგ აღმოჩნდა ათობით ბიულეტენი პატრიოტული წარწერებით: „მრავალჟამიერ სიცოცხლე და დღეგრძელობა ჩვენს მამასა და მასწავლებელს ამხანაგ სტალინს“, „ჯანმრთელობასა და დღეგრძელობას ვუსურვებ ჩვენს სტალინს და ამით ბედნიერებას ვუსურვებ მშრომელებს“, „სტალინი ჩვენი ბედნიერებაა“, და ბევრი სხვა ასეთი წარწერა.

მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატებად ერთსულოვნად არიან არჩეულნი აგრეთვე დიდი სტალინის ერთგული თანამებრძოლნი, გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწეები ამხანაგები ვ. მ. მოლოტოვი, ლ. პ. ბერია, ა. ა. ჟდანოვი, ა. ი. მიქოიანი, გ. მ. მალენკოვი, ნ. ა. ბულგანინი.

საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნები გახდა ჩვენი ხალხის მორალურ-პოლიტიკური ერთიანობის ახალი მძლავრი დემონსტრაცია და საბჭოთა პატრიოტიზმის შესანიშნავი გამოვლინება.

როცა ქართველი ხალხი კომუნისტთა და უპარტიოთა ბლოკის კანდიდატებს ხმას აძლევდა, მან იცოდა, რომ ხმას აძლევდა მშობლიურ საბჭოთა ხელისუფლებას, ჩვენს მძლავრ საბჭოთა სახელმწიფოს, ლენინ-სტალინის პარტიას, დიდ სტალინს.

აი რატომ მისცა ხმა ქართველმა ხალხმა ასე ერთსულოვნად კომუნისტთა და უპარტიოთა ბლოკის კანდიდატებს.

მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნების ეს შესანიშნავი შედეგები გვავალებენ კიდევ უფრო გავაუმჯობესოთ ხელისუფლების ყველა ორგანოს მუშაობა და მოვიპოვოთ ახალი, მაღალი მაჩვენებლები სახალხო მეურნეობის ყველა დარგში.

* * *

საბჭოთა საქართველოს მშრომელებმა მეოთხე სტალინური ხუთწლედის მეორე წლის საწარმოო გეგმა სახალხო მეურნეობის ყველა დარგში ვადამდე და გადაჭარბებით შეასრულეს. ჩვენი ხალხი ომისშემდგომი ხუთწლედის მესამე წლის ამოცანების შესრულებას შეუდგა, ქალაქად და სოფლად კიდევ უფრო გაძლიერდა სოციალისტური შეჯიბრება ლოზუნგით—შევასრულოთ ხუთწლედი ოთხ წელიწადში.

მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების ახლადარჩეული დეპუტატების საპატიო მოვალეობაა სათავეში ჩაუდგნენ ჩვენი ქვეყნის მშრომელთა ამ პატრიოტულ მოძრაობას, წარმართონ იგი ახალი მიღწევების მოსაპოვებლად სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, ჩვენი სამშობლოს სამხედრო და ეკონომიური ძლიერების კიდევ უფრო განმტკიცებისაკენ.

იმ უდიდესი განსაცდელის გადატანა, რომელიც ჩვენს ქვეყანას წილად ხვდა სამამულო ომის წლებში, მხოლოდ საბჭოთა ქვეყანას შეეძლო. კაცობრიობის ისტორიაში ასეთი უმაგალითო ომის შემდეგ ჯერ ორნახევარი წელიც კი არ გასულა და ჩვენმა ქვეყანამ განახორციელა უდიდესი პოლიტიკური და ეკონომიური მნიშვნელობის ღონისძიება — ფულის რეფორმა და სასურსათო და სამრეწველო საქონელზე ბარათების გაუქმება საქონლის ფასების შემცირებასთან ერთად.

მხოლოდ საბჭოთა საზოგადოებრივმა და სახელმწიფო წყობილებამ, ჩვენი მძლავრი სამშობლოს უაღრესად ფართო შესაძლებლობამ მოგვცა საშუალება გაგვეხორციელებინა ესოდენ უმნიშვნელოვანესი ღონისძიება, რაც მიმართულია მშრომელთა მატერიალური და კულტურული კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესებისაკენ, ჩვენი ქვეყნის ძლიერების უფრო გადიდებისაკენ.

ადგილობრივი საბჭოების საპატიო ამოცანაა ყოველმხრივ შეუწყონ ხელი პარტიისა და მთავრობის ღონისძიებებს, გამოავლინონ ჩვენი ქვეყნის ყოველი რაიონის, ქალაქის, სოფლის გამოუყენებელი სიმდიდრენი, გონივრულად მოაწყონ მუშაობა რეზერვების გამოსაყენებლად, ფართოდ განავითარონ ადგილობრივი მრეწველობა, ყოველმხრივ შეუწყონ ხელი ფართო მოხმარების საქონლის წარმოების გადიდებას, მისი ხარისხის გაუმჯობესებას, ხელი შეუწყონ როგორც სახელმწიფო, ისე კოოპერაციული ვაჭრობის განვითარებასა და გაფართოებას.

ადგილობრივმა საბჭოებმა დიდი როლი უნდა შეასრულონ მანეთის კურსის განმტკიცების, სახელმწიფო სახსრების ხარჯვაში მკაცრი ეკონომიის დამყარების საქმეში, აღკვეთონ ფინანსური დისციპლინის დარღვევის ფაქტები საბჭოთა, სამეურნეო, სავაჭრო და სხვა ორგანიზაციებში.

მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივ საბჭოებს დიდი შესაძლებლობა აქვთ კოლმეურნეების, საბჭოთა მეურნეობებისა და მტს-ების მუშების დასარაზმავად მიმდინარე წლის უხვი მოსავლისათვის, საქართველოს სოციალისტური სოფლის მეურნეობის ახალი მიღწევებისათვის საბრძოლველად. ისინი ყოველდღიურად უნდა მუშაობდნენ და სწვდებოდნენ ყოველი კოლმეურნეობის, საბჭოთა მეურნეობის, მტს-ის მდგომარეობას, ეხმარებოდნენ მათ ტრაქტორების, მისაბმელი ინვენტარის, სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანების, გამწევი ძალის, სათესლე მასალის მოსამზადებლად საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა თავის დროზე და ხარისხოვნად ჩატარებისათვის. რაიონულმა და სასოფლო საბჭოებმა სისტემატურად უნდა იზრუნონ კოლმეურნეობათა შემდგომი გაძლიერების, შრომის ორგანიზაციის, აღრიცხვისა და ანგარიშგების მოწესრიგების საკითხებზე, ჩასწვდნენ თვითეული კოლმეურნეობის ეკონომიკას და ხელი შეუწყონ მის შემდგომ ორგანიზაციულ და მეურნეობრივ განმტკიცებას.

პასუხსაგები ამოცანები ეკისრებათ სუბტროპიკული და ტექნიკური კულტურების, მევენახეობისა და მეხილეობის რაიონების ადგილობრივ საბჭოებს. მათ სათანადოდ უნდა გაითვალისწინონ თავისი რაიონების განსაკუთრებული თავისებურებანი და განახორციელონ საჭირო ღონისძიებანი ჩაის, ციტრუსების, ვენახის, ტუნგოს, ხეხილისა და სხვა ძვირფასი კულტურების მოვლის გაუმჯობესების, ამ კულტურების შემდგომი გაფართოების საქმეში.

სკოლების, ჯანმრთელობის დაცვის ორგანოების, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაობის გაუმჯობესების საკითხები ყოველდღიურად უნდა იდგეს ადგილობრივი საბჭოების დღის წესრიგში და უზრუნველჰყოფდნენ მათს წარმატებით მუშაობას.

ყველგან დამთავრდა ადგილობრივი საბჭოების პირველი სესიები. უკვე შექმნილია ხელმძღვანელი ორგანოები — საბჭოების აღმასკომები, დამტკიცებული არიან აღმასკომების განყოფილებათა გამგეები. საბჭოებთან შექმნილია მუდმივად მოქმედი კომისიები, ახლადარჩეული დეპუტატები უკვე შეუდგნენ პრაქტიკულ სახელმწიფო მოღვაწეობას. მაგრამ ეს მუშაობის მხოლოდ დასაწყისია. უნდა გვახსოვდეს, რომ საბჭოებში მოვიდნენ ახალი ადამიანები, რომელთაც ჯერ კიდევ არა აქვთ პრაქტიკული მუშაობის დიდი გამოცდილება, ადგილობრივი საბჭოების დეპუტატთა შემადგენლობის 80 პროცენტზე მეტი პირველად არის არჩეული. ეს მდგომარეობა მხედველობიდან არ უნდა გამორჩეთ ადგილობრივ პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებს. ისინი ყოველდღიურად უნდა ეხმარებოდნენ ახალგაზრდა საბჭოთა მოღვაწეებს — ხალხის მიერ არჩეულებს თავიანთ დიდ შესაძლებლობათა სწორად გამოყენებაში და იმ მაღალი ნდობის გამართლებაში, რომელთაც ისინი აღჭურვეს ამომრჩევლებმა.

ადგილობრივი საბჭოები უნდა ჩასწვდნენ ჩვენი ქვეყნის, ყოველი საბჭოთა მოქალაქის ცხოვრების ყველა დეტალს, მათ უნდა აინტერესებდეთ ეკონომიური, კულტურული და პოლიტიკური ხასიათის ყველა საკითხი. ადგილობრივი საბჭოები მოწოდებული არიან უდიდესი როლი შეასრულონ მეოთხე სტალინური ხუთწლედის ვადამდე შესრულებისათვის ჩვენი ხალხის ბრძოლაში.

მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოები უთუოდ კარგად იმუშავებენ, თუ საბჭოების დეპუტატებს მუდმივი ურთიერთობა ექნებათ თავიანთ ამომრჩევლებთან, ყურს დაუგდებენ მათ ხმას. არჩევნებისათვის მზადების პერიოდში დეპუტატობის კანდიდატებთან შეხვედრისას ამომრჩევლები აკრიტიკებდნენ ბევრი საბჭოს და მათი ცალკე ხელმძღვანელების მუშაობას, შეიტანდნენ მრავალი მნიშვნელოვანი და საქმიანი წინადადება. საჭიროა შევაგროვოთ ყველა ეს წინადადება და კრიტიკული შენიშვნა, განვიხილოთ ისინი, დავსახოთ მათი განხორციელების კონკრეტული ღონისძიებანი.

საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნების მომზადებისა და ჩატარების საქმეში ჩაბმული იყო 200 ათასზე მეტი კაცი — ქალაქისა და სოფლის აქტივისტები. მათ შეიძინეს პოლიტიკური, სააგიტაციო და საბჭოთა მუშაობის დიდი გამოცდილება. ეს აქტივი უნდა შევინარჩუნოთ და გამოვიყენოთ პოლიტიკური და სააგიტაციო მუშაობისათვის, ადგილობრივი საბჭოებისათვის ყოველდღიური დახმარების გასაწევად.

მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელმა კომიტეტებმა ზუსტად უნდა დაიცვან საბჭოების სესიების მოწვევის კონსტიტუციით დაწესებული ვადები საბჭოების მუშაობის, სამეურნეო და კულტურული მშენებლობის მნიშვნელოვან საკითხთა განსახილველად. ეს ხელს შეუწყობს მომწიფებული საკითხების თავის დროზე გადაჭრას და საბჭოების მუშაობაში დეპუტატების უფრო აქტიურად ჩაბმას.

საბჭოების აღმასრულებელმა კომიტეტებმა საბჭოების მუდმივად მოქმედ კომისიებს დახმარება უნდა გაუწიონ მუშაობის ორგანიზაციაში.

საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების დეპუტატებმა ჩვენი სამშობლოს საკეთილდღეოდ თავიანთ პატიოსანი, ენერგიული მუშაობით უნდა გაამართლონ ის დიდი ნდობა, რითაც ისინი ქართველმა ხალხმა აღჭურვა.

შრომისა და ბრძოლის სახელოვანი ტრადიციებით აღზრდილი ქართველი ხალხი უსაზღვროდ ერთგულია ლენინ-სტალინის პარტიისა, საბჭოთა მთავრობისა და მშრომელთა დიდი ბელადის ამხანაგ სტალინისა. იგი მუდამ ღირსეულად ასრულებდა და მომავალშიც შეასრულებს მისთვის დაკისრებულ ამოცანებს.

კ. ჟიჟინაძე

ფართოდ გავშალოთ შეჯიბრება ჩაის მაღალი მოსავლისათვის

მოწინავე მეჩაიეთა რესპუბლიკური თათბირის მონაწილენი გალის რაიონიდან. სურათზე მარცხნიდან მარჯვნივ: (სხედან) ნ. აბლოთია, ლ. ბულესკირია, თ. მიქაია, ა. მოწერელია, (დგანან): ნ. ეხვაია, ნ. შამათავა, ქ. უზარაშვილი, მ. ლეონტიევა, ლ. გვალია და ა. ხორგინავა. ფოტო რ. აკოფოვისა და ვლ. გინზბურგისა

მიმართვის საპასუხოდ

სოფელ ორჯონიკიძის (წალენჯიხის რაიონი) კოლმეურნეობის წევრები მოწინავე მეჩაიეთა მოწოდების პასუხად ჩაებნენ სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაის მოსავლიანობის გადიდებისათვის. მერგოლურმა ქ. ძაძამიამ განაცხადა: ჩაი ჩვენი სიმდიდრის წყაროა. ის ჩვენი საყვარელი კულტურაა. ვკისრულობ 6.000 კილოგრამი ჩაის ფოთოლი მოვიყვანო თვითეულ ჰექტარზე, ხოლო ჩემზე მიჩენილი 1 ჰექტარიდან კი—10 ათასი კილოგრამი, ნაცვლად 1947 წელს მიღებული 7.500 კილოგრამისა. ასეთივე ვალდებულებები იკისრეს კოლმეურნეებმა ქ. ფიფიამ, თ. გელოვანმა, ა. ფიფიამ, ნ. ქარდავამ და შ. ძაძამიამ. მთლიანად კოლმეურნეობამ იკისრა: 15 თებერვლისათვის დაამთავროს ჩაის საზამთრო დაბარვა, ქარსაფარი ზოლი გააშენოს 2,4 კილომეტრზე, 60 ჰექტარზე მოაწყოს სტახანოვური ჰექტარები, მათგან 4 ჰექტარზე მიიღოს 40 ათასი კილოგრამი ჩაი, 14 ჰექტარზე 70 ათასი კილოგრამი, 42 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მიიღოს სულ მცირე 3 ათასი კილოგრამი, გეგმის გადამეტებით მისცეს სამშობლოს 50 ტონა ჩაი.

სოფელ ჯგალის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მეოთხე ბრიგადის ხელმძღვანელმა ხ. კვარაცხელიამ განაცხადა: შარშან ბრიგადამ ნაცვლად 7 ათასი კილოგრამისა მოჰკრიფა და სახელმწიფოს ჩააბარა 18.400 კილოგრამი ჩაი. ვკისრულობთ წელს მოვკრიფოთ 25 ათასი კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი.

— კიდევ უფრო უკეთესად ვიმუშავებ წელს, ნაცვლად შარშანდელი 2.500 კილოგრამი ჩაისა, რაც მივიღე მეოთხედი ჰექტარიდან, წელს მივიღებ 3.500 კილოგრამ ჩაის, — განაცხადა კრებაზე სტახანოველმა კოლმეურნემ თ. კვარაცხელიამ. კოლმეურნე თ. ძაძამიამ იკისრა 0,2 ჰექტარიდან მიიღოს 3 ათასი კილოგრამი ჩაის ფოთოლი. ასეთსავე ნაკვეთზე 2.500 კილოგრამი ჩაის მოსავლის მიღების პირობა დასდო ო. ძაძამიამ.

ვ. მესხია
„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

ჩაის მაღალი მოსავლისათვის

გეგეჭკორის რაიონის სოფელ ნაჯახაოს ლენინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. გრ. ცანავამ მოწინავე მეჩაიეთა მიმართვის განხილვისას განაცხადა: შარშან კოლმეურნეობამ სახელმწიფოს ჩააბარა 106,1 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 61 ტონისა, შრომადღეზე განაწილდება 12 მანეთი და 48 კაპიკი. ამით არ ვკმაყოფილდებით. ჩაის საშუალო საჰექტარო მოსავლიანობა ჯერ კიდევ დაბალია, შარშან ჰექტარზე საშუალოდ მივიღეთ 2.122 კილოგრამი, წელს ჩაის საშუალო მოსავალი ჰექტარზე უნდა ავიყვანოთ 4.000 კილოგრამამდე, გავამრავლებთ მაღალმოსავლიან ნაკვეთებს. შარშან ჩაის ნაკვეთები მოსავლელად მიჩენილი ჰქონდა მარტო 4 კოლმეურნეს. სტახანოველმა ნინო დანელიამ მასზე მიჩენილ 0,33 ჰექტარ პლანტაციაზე მოიყვანა 4.748 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი. ახალგაზრდა მკრეფავმა მარგო დანელიამ, დუნია დანელიამ და ვერა კუპრავამ 0,25 ჰექტარი პლანტაციიდან თვითეულმა მიიღეს 2.000-2.200 კილოგრამი ჩაის ფოთოლი. 1948 წელს დიდად გავამრავლებთ სტახანოვური ნაკვეთების რაოდენობას, საუკეთესოდ მოვუვლით ჩაის პლანტაციებს და გავადიდებთ მოსავლიანობას.

კოლმეურნეობაში შეიქმნა მეჩაიეთა ორი სტახანოვური რგოლი. თვითეულ რგოლში 8 კოლმეურნეა. რგოლებმა ურთიერთშორის სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულება დასდეს, რათა მათთვის მიჩენილი 8 ჰექტარი პლანტაციიდან თვითეულ ჰექტარზე მიიღონ 6.000 კილოგრამი ჩაის ფოთოლი.

ერ. ხარებავა
„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

მახარაძელებმა კიდევ უფრო გააძლიერეს მუშაობა

მახარაძის რაიონის კოლმეურნეები და საბჭოთა მეურნეობების მუშები დიდი ინტერესით ეცნობიან მოწინავე მეჩაიეთა რესპუბლიკური თათბირის მონაწილეთა მიმართვას. ახალი ძალით ჩაღდება სოციალისტური შეჯიბრება. სოფელ ნატანების ლ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში შარშან სტახანოვური ნაკვეთის რაოდენობა 21 ჰექტარს აღწევდა, წელს კი 60 ჰექტარზე მეტი იქნება. ამ ფართობის ყოველ ჰექტარზე 7 ათას კილოგრამ ჩაის მწვანე ფოთოლს მოჰკრეფენ. მოწინავე ბრიგადირმა ი. ხურციძემ ვალდებულება იკისრა 17 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მიიღოს 6.500 კილოგრამი ჩაი. ბრიგადირი კ. თავაძე კი პირობას იძლევა 11 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 5 ათასი კილოგრამი ჩაის ფოთოლი მიიღოს. მერგოლურმა დარეჯან ტაკიძემ პირობა დასდო, რომ 4 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 16 ათას კილოგრამ ჩაის მოიყვანს.

მთლიანად ნატანების კოლმეურნეობა სახელმწიფოს მისცემს 1.200.000 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლს. აქ უკვე დაამთავრეს მიმდინარე წლის ზამთრის ყველა სამუშაო ჩაის პლანტაციებში.

სოფელ მერიის კიროვის სახელობის კოლმეურნეობაში მოწინავეთა მიმართვის საპასუხოდ დამატებით 7 ჰექტარი სტახანოვური ნაკვეთი გამოჰყვეს და თვითეული ჰექტარიდან გეგმით გათვალისწინებული 2.500 კილოგრამის ნაცვლად 4 ათასი კილოგრამი ჩაის მიღება იკისრეს. კოლმეურნეობის მოწინავე ბრიგადირები ლ. ღლონტი და გ. გოგიტიძე პირობას იძლევიან, რომ თვითეულ ჰექტარზე მოიყვანენ 1.000 კილოგრამით მეტ ჩაის ფოთოლს, ვიდრე გათვალისწინებულია კოლმეურნეობის საშუალო მოსავლიანობით.

ახალი ვალდებულებანი აიღო ლაითურის საბჭოს მეურნეობის კოლექტივმაც: 984 ჰექტარი ჩაის პლანტაციაში დროულად ჩაატარონ ყველა სამუშაო, საკმაო რაოდენობით შეიტანონ სასუქები და მოსავლიანობა თვითეულ ჰექტარზე შარშანდელთან შედარებით 600 კილოგრამით გაადიდონ, გამოჰყონ 15 ჰექტარი სტახანოვური ნაკვეთი, სადაც თვითეული ჰექტარიდან საშუალოდ მიიღონ 6 ათასი კილოგრამი ჩაი. სულ მეურნეობა წელს სახელმწიფოს მისცემს 1.200.000 კილოგრამ ჩაის ფოთოლს, — 400 ათასი კილოგრამით მეტს, ვიდრე შარშან. მეურნეობაში ნადია შეყრილაძის და შალვა დანელიას ბრიგადებს პირობა აქვთ დადებული, რომ 37 ჰექტარი ფართობის ყოველ ჰექტარზე მიიღონ 4 ათასი კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი. ასეთივე ვალდებულებანი აიღეს აგრეთვე სხვა სტახანოველებმა.

ლ. ლოლაძე
„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

დაიხურა საკავშირო კონფერენცია ბეტონისა და რკინა-ბეტონის კონსტრუქციათა წარმოების საკითხებზე

მუშაობა დაამთავრა მშენებელ ინჟინერ-ტექნიკოსთა სრულიად საკავშირო კონფერენციამ ბეტონისა და რკინა-ბეტონის კონსტრუქციათა წარმოების საკითხებზე. კონფერენციის მუშაობა ერთ კვირას გაგრძელდა. კონფერენციის მონაწილეებმა, რომლებიც დაყოფილი იყვნენ ექვს სექციად, განიხილეს 70-ზე მეტი საკითხი.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ საბჭოთა კავშირის თითქმის ყველა დიდ სამშენებლო ობიექტთა წარმომადგენლები, სულ 711 კაცი. სასექციო სხდომებზე განხილული საკითხების შესახებ კონფერენციამ მოისმინა სექციათა ხელმძღვანელების საანგარიშო მოხსენებანი და მიიღო სათანადო რეზოლუციები, რომლებშიც დასახულია ბეტონისა და რკინა-ბეტონის კონსტრუქციათა წარმოების ახალი ტექნოლოგიის ასათვისებლად მთელ რიგ პრაქტიკულ ღონისძიებათა გატარება.

კონფერენციამ გადასწყვიტა, რომ ბეტონისა და რკინა-ბეტონის კონსტრუქციათა სამრეწველო წარმოებისას სახელმძღვანელოდ მიღებული იქნეს საბჭოთა მეთოდები, როგორც ტექნიკურად უახლესი და ბევრად უფრო რაციონალური, ვიდრე უცხო ქვეყნებში მიღებული მეთოდებია მიღებულ იქნა აგრეთვე დადგენილება, რათა მშენებელ ინჟინერ-ტექნიკოსთა შემდეგი მორიგი კონფერენცია ბეტონისა და რკინა-ბეტონის კონსტრუქციათა წარმოების შესახებ მოწვეულ იქნას რიგაში და დაისვას საკითხი ამავე საკითხებზე საერთაშორისო კონგრესის მოწვევის შესახებ აღმოსავლეთ ევროპის ახალი დემოკრატიული ქვეყნების წარმომადგენელთა მონაწილეობით.

30 იანვარს კონფერენციის დელეგატები ეწვივნენ რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მშენებელთა კოლექტივს. დელეგატებმა დაათვალიერეს მშენებლობის ყველა უბანი, გაეცნენ ბეტონის ცენტრალური კომბინატის მუშაობას, საქალაქო მშენებლობის მიმდინარეობას და ცალკე სამშენებლო ობიექტებში ბეტონისა და რკინა-ბეტონის კონსტრუქციათა გამოყენების მასშტაბებს.

მშენებლობის მიმდინარეობის გაცნობის შემდეგ გაიმართა კონფერენციის მეხუთე სექციის სხდომა ბეტონისა და რკინა-ბეტონის სამუშაოთა ორგანიზაციისა და მექანიზაციის საკითხებზე. რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მშენებლობაზე ბეტონისა და რკინა-ბეტონის სამუშაოთა მდგომარეობის შესახებ კონფერენციაზე მოხსენება გააკეთა მშენებლობის ტექნიკური განყოფილების უფროსმა ინჟინერმა ლ. ვაინერმა. მოსმენილ იქნა აგრეთვე ინჟინერ ნ. უშაკოვის მოხსენება მეტალურგიულ ქარხნებში რკინა-ბეტონის კონსტრუქციათა გამოყენების შესახებ. მოხსენების შემდეგ, აზრთა გაცვლა-გამოცვლაში მონაწილეობა მიიღეს მოსკოვის, ლენინგრადის, სტალინგრადის, რუსთავის, სოხუმის, ტყვარჩელისა და მთელი რიგი სხვა დიდი სამშენებლო ობიექტების ინჟინერ-ტექნიკოსებმა.

* * *

ბეტონისა და რკინა-ბეტონის კონსტრუქციების გამოყენების მხრივ მშენებლების წინაშე უდიდესი შესაძლებლობა და ფართო პერსპექტივებია. რკინა-ბეტონს ახლა მშენებლები ხშირად იყენებენ ლითონის კონსტრუქციების ნაცვლად, ეს გამოწვეული იყო ლითონის დეფიციტურობით. ახალ მეტალურგიულ საწარმოთა ამუშავების შემდეგ, ორიოდე წლის განმავლობაში საბჭოთა კავშირში ლითონი უხვად გვექნება, მაგრამ, მიუხედავად ამისა, რკინა-ბეტონის გამოყენება არა თუ შემცირდება, პირიქით, გადიდდება. რკინა-ბეტონს ლითონთან შედარებით, მრავალი უპირატესობა აქვს. ლითონი ადვილად განიცდის გარემოს გავლენას (კოროზია), მალე უვარგისი ხდება, თუ იგი ხშირად არ შევღებეთ და საერთოდ მუდმივი მეთვალყურეობა არ გავუწიეთ. რკინა-ბეტონის კონსტრუქცია კი, თუ იგი მაღალხარისხოვანია, ისევე გამძლეა, როგორც გრანიტი. მართალია, მას დატანებული აქვს შიგნიდან ლითონის არმატურა, რომელიც შეიძლება გაფუჭდეს, თუ ბეტონი დასკდა და დაიბზარა, მაგრამ ახლა გამონახულია ბეტონის გაკეთების ისეთი მეთოდი, როდესაც ამ მოვლენას ადგილი აღარ ექნება.

საქართველოს მშენებელი ინჟინერ-ტექნიკოსები და მეცნიერი მუშაკები კონფერენციაზე მოვიდნენ ბეტონისა და რკინა-ბეტონის კონსტრუქციების წარმოების დარგში მრავალი ახალი მიღწევით. განსაკუთრებით დიდი მიღწევებია მოპოვებული საქართველოში მსუბუქი რკინა-ბეტონის განვითარების თეორიასა და პრაქტიკაში. თბილისსა და რესპუბლიკის მთელ რიგ ადგილებში მრავალი ნაგებობის აშენებისას ამ უკანასკნელი 15 წლის მანძილზე მსუბუქი ბეტონი ფართოდ იყო გამოყენებული და ამან კარგი შედეგი მოგვცა, როგორც ცემენტის ეკონომიის, ისე თვით ნაგებობათა სიმსუბუქისა და მშენებლობის სიიაფის მხრივ.

ბეტონისა და რკინა-ბეტონის გამოყენების დიდი პერსპექტივებია აგრეთვე სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობის თითქმის ყველა დარგში, ხიდების მშენებლობასა და აგრეთვე საგზაო მშენებლობაში. გამორკვეულია, რომ გზატკეცილთა საზედაპირო ფენად შესაფერისი შემადგენლობის ბეტონს ვერც ერთი სხვა მასალა ვერ შეედრება გამძლეობის თვალსაზრისით.

კონფერენციის მიერ მიღებულ რეზოლუციებში ფართოდაა ასახული მშენებლობაში ეგრეთწოდებული ადგილობრივი მჭიდა მასალებისა და განსაკუთრებით ჰიდრავლიკური კირის გამოყენების საკითხები.

იტალიის სახალხო დემოკრატიული ფრონტის „დამფუძნებელი ქარტია“

რომი, 3 თებერვალი. (საკდესი). იტალიის სახალხო დემოკრატიული ფრონტის ეროვნულმა პირველმა ასამბლეამ რომში პირველ თებერვალს მიიღო სახალხო დემოკრატიული ფრონტის შემდეგი „დამფუძნებელი ქარტია“.

„სახალხო დემოკრატიული ფრონტი აერთიანებს ყველას, ვინც ისწრაფვის იტალიაში შრომისა, მშვიდობიანობისა და თავისუფლებისაკენ. ის მიზნად ისახავს განახორციელოს კონკრეტული ზომები, რომელთაც შეეძლებათ რესპუბლიკურ კანონიერების წესრიგის, იტალიის შიგნით და გარეთ მშვიდობიანობის, სოციალური და რელიგიურ მშვიდობიანობის ვითარებაში შექმნან პირობები, რომლებიც აუცილებელია იტალიის აღდგენისა და სამოქალაქო პროგრესისათვის და რომლებიც მთავრობის კონსტრუქციულ საქმიანობაში შეიტანენ სოციალური განახლებისადმი მისწრაფებას, რაც იტალიელ ხალხს აღაფრთოვანებს.

მიზნები, რომლებსაც სახალხო დემოკრატიული ფრონტი იტალიის წინაშე სახავს, შემდეგია:

სტრუქტურული რეფორმები, უკვე სანქციონირებული იმ პრინციპებით, რომლებიც სა- [illegible]

[illegible]

სანაოსნო, სანავსადგურო და ტურისტული საქმიანობის განვითარება; კანონმდებლობა საზოგადოებრივ სამუშაოთა დარგში, რომელიც სამხრეთ ოლქებს უთანაბრებს იმათ, რომლებიც სარგებლობენ ომით მიყენებული ზარალის ანაზღაურების კანონმდებლობის უპირატესობით.

დემოკრატიული განვითარების გარანტიები, რომლებიც საშუალებას მოგვცემენ განხორციელდეს თავისუფლების ის პრინციპები საზოგადოებრივ ცხოვრებაში და ადმინისტრაციულ პრაქტიკაში, რომლებიც სანქციონირებულია რესპუბლიკის კონსტიტუციის მიერ.

სახელმწიფო აპარატში — ადმინისტრაციული აპარატის, არმიისა და პოლიციის ეფექტიანი დემოკრატიზაცია რეფორმის გზით; სახალხო კონტროლი საზოგადო ინტერესებისათვის იტალიის ძირითადი ეკონომიური რესურსების გამოყენებისა და ადმინისტრაციული ორგანოებისადმი.

მუნიციპალიტეტებში — ადგილობრივი ინსტიტუტების ავტონომიის განხორციელება და ფინანსიური რეფორმა, რომელიც უზრუნველყოფს მათს მოქმედებას, ბიუჯეტს მოსახლეობის დემოკრატიული მოთხოვნების შესაბამისად

კულტურის დარგში—სკოლების გახსნა ხალხისათვის, ქონებრივი პრივილეგიების გაუთვალისწინებლად, ყოველგვარი შემავიწროებელი ზედნაშენებისა და კლერიკალური მონოპოლიის გარეშე; საგამომკვლევო და სამეცნიერო საქმიანობის განვითარება, ევროპისა და მსოფლიოს ყველა მეცნიერული მიმდინარეობის წარმომადგენლებთან ნაყოფიერ თანამშრომლობის პირობების შექმნა, ბნელეთის მოციქულობისა და დაცემულობის წინააღმდეგ ბრძოლის იტალიური ტრადიციებისადმი ერთგულების სულისკვეთებით. სპეციალისტებისა და ტექნიკოსების პროფესიონალური თვითშეგნების ამაღლება; მთელი ხალხისათვის კულტურული საქმიანობის ყველა ფორმებისადმი ხელმისაწვდომობა; სახალხო კონტროლი, რადიოს, ინფორმაციის წყაროებისა და პერიოდული პრესის დაფინანსებისათვის“.

შემდეგ ქარტიაში გათვალისწინებულია იტა- [illegible]

[illegible]

უნდა გამოვლინდეს ერის გადასარჩენად.

2. ბრძოლა მიმართული იმისაკენ, რომ დაძლეულ იქნას ორგანიზებული ჯგუფების და ფენების ეგოისტური წინააღმდეგობა, რომლებიც ცდილობენ გადაარჩინონ თავიანთი პრივილეგიები; ბრძოლა, რომელიც ხალხისათვის საარჩევნო დაპირებათა შესრულების გარანტიას წარმოადგენს.

3. დაცვა რესპუბლიკისა და დემოკრატიული ინსტიტუტებისა, რომლებიც მოპოვებულია თავისუფლებისათვის ბრძოლაში და არ შეიძლება მიტოვებული იქნან გაბატონებული კლასის ამარად, რომელიც უწესრიგობის ძალებს დაეძებს.

4. პროგრამისადმი ერთგულება, როგორც მტკიცე ვალდებულება, მიღებულ იქნას ერთიანი დაძაბული ღონისძიებანი, რათა უზრუნველყოფილ იქნას ერის ერთიანობა, წესრიგი, კეთილდღეობა“.

იტალია-ამერიკის ხელშეკრულების დადების გამო

რომი, 4 თებერვალი. (საკდესი). როგორც უკვე ვიუწყებოდით, 2 თებერვალს რომში იტალიასა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის ხელმოწერილ იქნა ხელშეკრულება „მეგობრობის, ვაჭრობისა და ნავიგაციის შესახებ“.

დემოკრატიულ წრეებში ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ახალი ხელშეკრულება შეერთებულ შტატებს საშუალებას აძლევს სავსებით დაიმონონ იტალია ეკონომიურად და პოლიტიკურად.

ამ „ხელშეკრულების“ ძირითადი დებულებანი შეიმუშავა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა და დე გასპერის მთავრობის დავალებით მიიღო ლომბარდოს დელეგაციამ, რომელიც შარშან ზაფხულს ვაშინგტონს ჩავიდა. მუშაობა „ხელშეკრულების“ პირობათა საბოლოო რედაქციისათვის განახლდა რომში 1947 წლის 16 სექტემბერს, ამასთან ამერიკის დელეგაციას, რომელსაც ელჩი დანი მეთაურობდა და იტალიის დელეგაციას, რომელსაც იგივე ლომბარდო მეთაურობდა და რომლებიც საიდუმლოდ მუშაობდნენ ხუთთვენახევრის განმავლობაში, არსებითი ცვლილება არ შეუტანიათ სახელმწიფო დეპარტამენტის თავდაპირველ პროექტში. ოფიციალური ვერსიის თანახმად, ეს ხელშეკრულება სცვლის ამერიკასა და იტალიას შორის არსებულ 1871 წლის სავაჭრო ხელშეკრულებას, რომელიც მუსოლინიმ გააუქმა 1937 წელს.

როგორც ოფიციოზური გაზეთი „ტემპო“ აღიარებს, ეს ვერსია, ისევე როგორც „მეგობრობის, ვაჭრობისა და ნავიგაციის“ ხელშეკრულების სახელწოდება, არ ასახავს მის ნამდვილ შინაარსს და წარმოადგენს ფიქციას, რაც ნიღბავს „კავშირს“ ამერიკის შეერთებულ შტატებსა და იტალიას შორის, რომელიც ითვალისწინებს, როგორც თვით ხელშეკრულების ტექსტიდან სჩანს, წმინდა სამხედრო ხასიათის შედეგებს.

მინისტრთა საბჭოს ვიცე-თავმჯდომარის პაჩარდის ორგანო გაზეთი „ვოჩე რესპუბლიკანა“ აგრეთვე აღიარებს, რომ ახალი ხელშეკრულება არის „თანამშრომლობის ხელშეკრულება“ და მოწოდებულია „მოაწესრიგოს ორი ქვეყნის ურთიერთობის მთელი რთული სისტემა“.

ხელშეკრულება, რომელიც შეიცავს 27 მუხლს და ორ დამატებით ოქმს, ძალაში იქნება 10 წლიწადს ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესისა და იტალიის პარლამენტის მიერ მისი რატიფიკაციის შემდეგ და შეიძლება ავტომატურად გაგრძობილ იქნას, თუ ერთ-ერთმა მხარემ დენონსაცია არ მოახდინა.

ხელშეკრულება ემყარება ეგრეთწოდებულ „შესაძლებლობათა თანასწორობის“ პრინციპს, ამ პრინციპის იმპერიალისტური გაგებით, და ითვალისწინებს, რომ „ორივე ქვეყნის“ მოქალაქეებს (ე. ი. პრაქტიკულად ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქეებს) უფლება აქვთ გაემგზავრონ მეორე ქვეყნის ტერიტორიაზე, იცხოვრონ იქ და შეუზღუდველად იმოგზაურონ მის სახელმწიფო ტერიტორიაზე, აწარმოონ იქ ყოველგვარი სავაჭრო, სამრეწველო, საფინანსო, სამეცნიერო, საპროპაგანდო, აღმზრდელობითი, რელიგიური და „ფილანტროპიული“ ხასიათის საქმიანობაც კი, შეისყიდონ ყოველგვარი მოძრავი და უძრავი ქონება, რაც საჭიროა ყველა სახის აღნიშნული საქმიანობისათვის, ისარგებლონ ყველა უფლებით, რომლებიც გამომდინარეობს პატენტის მფლობელობიდან (მას შემდეგ, რაც იტალიის ყველა პატენტი ამერიკაში კონფისკებულ იქნა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის მიერ). აწარმოონ გეოლოგიური ძიება, გამოიყენონ ამ ქვეყნის მინერალური სიმდიდრე და სრულიად შეუზღუდველად მოიხმარონ ყველა ჩამოთვლილი სახის საქმიანობის შემოსავალი. გარდა ამისა, ორივე ქვეყნის მოქალაქეები არ შეიძლება დაიბეგრონ გადასახადით, რომელიც აღემატება მესამე ქვეყნის მოქალაქეების მიერ გადახდილ გადასახადს.

შემდეგ ხელშეკრულება კრძალავს, რომ ერთ-ერთ ქვეყანაში შემოღებულ იქნას რაიმე შეზღუდვა ყველა სახის ნედლეულის ან ისეთი სამრეწველო საქონლის შეზიდვის, გაყიდვისა და გამოყენებისა, რომელსაც მეორე ქვეყანაში ამზადებენ ან იქიდან შემოაქვთ, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გარკვეული სახის ნედლეული ან პროდუქტი არ შეიძლება გაიზიდოს აგრეთვე მესამე ქვეყანაში თანახმად სახელმწიფო კანონმდებლობისა (მხედველობაშია ამერიკის სტრატეგიული ნედლეული).

ხელშეკრულებისათვის დართული სპეციალური ოქმი „ნებას რთავს“ იტალიას დროებით დატოვოს ძალაში იმპორტისა და ვალუტის გაცვლის სახელმწიფო რეგულირების სისტემა.

ხელშეკრულება „უფლებებით ათანაბრებს“ ორივე ქვეყნის გემებს, რომლებიც მეორე ქვეყნის ტერიტორიულ წყლებში იმყოფებიან, მოცემული ქვეყნის გემებთან და აწესებს ერთი ქვეყნის მოქალაქეთა ტრანზიტის სრულ თავისუფლებას მეორე ქვეყნის ტერიტორიით.

ყველა საბაჟო ტარიფები და გამოსაღები, რასაც იტალიის ტერიტორიაზე ამერიკის შეერთებული შტატების საქონლის მიმართ იყენებენ და, პირიქით, არ შეიძლება იმაზე მეტი იყოს, რაც „უმეტესი ხელშეწყობის პრინციპით“ ნებადართულია ყოველი მესამე ქვეყნის მიმართ.

განსაკუთრებული მუხლი აწესებს, რომ მოლაპარაკება მესამე ქვეყნებთან საბაჟო კავშირის შესახებ შეიძლება წარმოებულ იქნას მხოლოდ ხელშეკრულების დამდები მეორე ქვეყნის თანხმობით.

ერთ-ერთი პირობა, რომელიც ხელშეკრულებაში შეტანილია დემაგოგიური მოსაზრებით იტალიის მხარის დაყენებული მოთხოვნით, ავრცელებს ამერიკის შეერთებულ შტატებში მყოფ იტალიელ მუშებზე ამერიკელი მუშების „ყველა უფლებას“, მაგრამ სპეციალურ მუხლში აღნიშნულია, რომ ეს ხელშეკრულება არ ეხება იმ საკანონმდებლო ნორმებს, რომლებიც ამერიკის შეერთებულ შტატებში იმიგრაციას ზღუდავენ.

ხელშეკრულების მე-13 მუხლით წესდება, რომ „ერთი ან მეორე ქვეყნის“ წინააღმდეგ ომის შემთხვევაში ორივე ქვეყნის მოქალაქენი შეიძლება მობილიზებულ იქნან იმ ქვეყნის არმიაში, სადაც ეს მოქალაქენი იმყოფებიან; ამით ხელშეკრულება წინასწარ ადასტურებს იტალიის ტერიტორიაზე ამერიკელ „მოხალისე“ ჯარისკაცთა განუსაზღვრელი რაოდენობის ყოფნას.

სპეციალური მუხლი, რომლითაც გარანტირებულია „ინფორმაციის თავისუფალი გაცვლა“, ითვალისწინებს, რომ „ერთი ქვეყნის მოქალაქეებს, იურიდიულ პირებსა და საზოგადოებებს“ შეუზღუდველი უფლება აქვთ „შეადგინონ, გაავრცელონ, შეაგროვონ და მეორე ქვეყნის ტერიტორიაზე გადასცენ მასალები, რომლებიც განკუთვნილია პრესით, რადიოთი, კინოთი და ყოველი სხვა არხით გასავრცელებლად“.

ხელშეკრულების ხელმოწერისას დანსა და სფორცას შორის მოხდა „წერილების გაცვლა“ იტალიასა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის „კულტურული ურთიერთობისა და გაცვლა-გამოცვლის გაფართოების“ საკითხზე, რაც, სფორცას სიტყვით, „ჭეშმარიტად ესაზღვრო თანამშრომლობის“ მაგალითი უნდა გახდეს.

გაზეთი „მომენტო“ კომენტარს უკეთებს ამ ხელშეკრულებას და აცხადებს, მიზანი ის არის, რომ ამერიკის შეერთებული შტატები გარანტირებულ იქნან იტალიაში „რადიკალური პოლიტიკური ძვრების შესაძლებლობათაგან“ იმ გზით, რომ ხანგრძლივად უზრუნველყოფილ იქნას „ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიური პოზიციები იტალიაში“. აგრეთვე უფლება „თავისუფლად გაავრცელონ თავიანთი ინფორმაცია“.

ამასთან დაკავშირებით გაზეთი „მესაჯერო“ აზუსტებს, რომ ლაპარაკია ყოველგვარი „ინფორმაციის“ — პოლიტიკური, ეკონომიური, ბეჭდვითი, სატელეგრაფო, რადიოინფორმაციის შესახებ და სხვ., ამასთან „შესაძლო შეცდომები, არასიზუსტე და სიცრუე შეიძლება გამოსწორდეს თავისუფალი თანამოქმედების სულისკვეთებით“.

ოფიციოზური გაზეთი „ტემპო“ ეხება ხელშეკრულების პოლიტიკურ აზრს და ამტკიცებს, რომ იგი მოწოდებულია კომუნიზმის საფრთხისაგან უზრუნველჰყოს ამერიკის შეერთებული შტატები და იტალია.

გაზეთი „უნიტა“ აღნიშნავს, რომ სფორცას მიერ ხელმოწერილი ხელშეკრულება ფართოდ უღებს კარს ამერიკის ტრესტებს, მაშინ როცა იტალიელთა მთელი „ურთიერთუფლებები“ ამერიკის შეერთებულ შტატებში ქაღალდზე უნდა დარჩეს, რადგან „სასაცილოა იმის ფიქრი, რომ იტალიის მრეწველობას ან სოფლის მეურნეობას შეუძლია კონკურენცია გაუწიოს ამერიკის შეერთებული შტატების მრეწველობასა და სოფლის მეურნეობას ამერიკის შეერთებული შტატების საკუთარ ტერიტორიაზე“.

„ჩვენ, — განაგრძობს გაზეთი, — ვდგევართ შეერთებული შტატებისათვის გაკეთებულ უაღრესი მნიშვნელობის დათმობათა წინაშე, რაც მათ მხრივ სრულიად აუნაზღაურებელია. დე გასპერის მთავრობამ სრულიად არ გაუწია ანგარიში მკაცრ კრიტიკას, რომელთაც დამფუძნებელი კრების საგარეო პოლიტიკის კომისიაში მიმართეს ლომბარდოს თავდაპირველ პროექტს ეს იმას მოწმობს, რომ მთავრობას განზრახული აქვს განახორციელოს შეერთებული შტატების წინაშე კაპიტულაციის პოლიტიკა დამფუძნებელი კრების ზურგს უკან და ხალხის წარმომადგენელთა ნება-სურვილის წინააღმდეგ. ეს მანევრი ჩაიშლება. იტალიელი ხალხი არ აპირებს სავაჭროდ გახადოს თავისი დამოუკიდებლობა და თავისი ეკონომიკის მომავალი დე გასპერისა და სფორცას საამებლად. არა მარტო მშრომელები, არამედ მრეწველობისა და მეურნეობის ყველა ჯანსაღი ძალებიც მედგარ წინააღმდეგობას გაუწევენ იმ საფრთხეს, რომელიც იტალიას ემუქრება ოკეანის გაღმელი ტრესტებისაგან, სფორცამ ხელი მოაწერა, მაგრამ იტალიელი ხალხი ხელს არ მოაწერს“.

გაზეთი „რობოტნიკი“ სსრ კავშირში განხორციელებული ფულის რეფორმის შედეგების შესახებ

ვარშავა, 4 თებერვალი. (საკდესი). პოლონეთის საზოგადოებრიობა დიდ ინტერესს იჩენს სსრ კავშირში განხორციელებული ფულის რეფორმისადმი, რამაც გამოიწვია საბჭოთა ვალუტის განმტკიცება და საბჭოთა მოქალაქეების მყიდველობითი უნარის დიდი განვითარება.

გაზეთი „რობოტნიკი“ ერთმანეთს ადარებს საბჭოთა კავშირში ფასების მკვეთრ შემცირებას და მყიდველობითი უნარის ზრდას და დასავლეთ ევროპაში არსებულ მდგომარეობას და სწერს: „სსრ კავშირში განხორციელებული სავალუტო რეფორმის და მისი დადებითი შედეგების შედარება ფრანკის დევალვაციასა და საფრანგეთში არსებულ მძიმე ეკონომიურ კრიზისთან, მჭევრმეტყველურად მოწმობს, თუ რა უპირატესობა აქვს გეგმიან ეკონომიკას კაპიტალისტური ანარქიის წინაშე. მაშინ როცა სსრ კავშირი სწრაფად იშუშებს ომით მიყენებულ ჭრილობებს და აწესრიგებს თავის ეკონომიურ ურთიერთობას, მხედველობაში აქვს რა, უწინარეს ყოვლისა, მშრომელთა კეთილდღეობა, საფრანგეთში გრძელდება ინფლაცია და სპეკულაცია, რომელთა წინაშე „მესამე ძალის“ მთავრობა უძლური აღმოჩნდა. საბჭოთა გეგმიანი ეკონომიკის უპირატესობა აშკარაა, მით უმეტეს, თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ სსრ კავშირში ომის დროს გაცილებით უფრო დიდი ნგრევა მოხდა, ვიდრე საფრანგეთში იმავე ომის დროს“.

ჩეხოსლოვაკიის პარლამენტმა მოიწონა საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის სავაჭრო შეთანხმება

პრაღა, 5 თებერვალი. (საკდესი). გუშინ ეროვნულმა საკანონმდებლო კრებამ ერთხმად მოიწონა საბჭოთა კავშირსა და ჩეხოსლოვაკიას შორის დადებული სავაჭრო შეთანხმება, რაც ხელმოწერილია მოსკოვს 1947 წლის 11 დეკემბერს. პარლამენტის ბევრმა დეპუტატმა პარლამენტში წარმოდგენილი ყველა პოლიტიკური პარტიის სახელით თავის გამოსვლებში აღნიშნა ჩეხოსლოვაკიის შემდგომი ეკონომიური აღდგენისა და განვითარებისათვის საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის სავაჭრო შეთანხმებისა და სსრ კავშირთან სხვა სამეურნეო შეთანხმებათა განსაკუთრებული მნიშვნელობა.

ტრუმენის მიმართვა კონგრესისადმი

ვაშინგტონი, 3 თებერვალი. (საკდესი). ტრუმენმა კონგრესს წარუდგინა 10 პუნქტისაგან შემდგარი პროგრამა, რომელიც ეხება სამოქალაქო უფლებებსა და ზანგთა უფლებებს. ტრუმენი აღიარებს დისკრიმინაციული კანონების არსებობას ამერიკის შეერთებულ შტატებში. იგი აღნიშნავს, რომ შტატებში ჯერ კიდევ არსებობს დისკრიმინაციული საარჩევნო გადასახადები, რომლებიც, ტრუმენის სიტყვით, „ქმნის ბარიერს მოქალაქეებსა და საარჩევნო ყუთს შორის“, როგორც მიმართვიდან სჩანს, [illegible]

[illegible]

ლის კუთვნილებაზე“.

მეტი წილი ეს ღონისძიებანი ტრუმენს წამოყენებული ჰქონდა წინათაც თავის განცხადებებში პრესის წარმომადგენლებისადმი, თავის სიტყვებსა და მიმართვებში კონგრესისადმი. იგი პირველად როდი აღიარებს ზანგების ლინჩის წესით გასამართლებისა და დისკრიმინაციის ფაქტებს. მაგრამ კონგრესს ჯერჯერობით არ მოუწონებია არცერთი კანონპროექტი, რომელიც ამ ბარბაროსულ პრაქტიკას მოსპობდა.

ტრუმენის უკანასკნელი მიმართვა კონგრესისადმი, ეტყობა, ნავარაუდევია იმისათვის, რომ შეანელოს ის აღშფოთება, რაც მის მიერ წამოწყებულმა სახელმწიფო მოსამსახურეთა „ლოიალობის შემოწმებამ“ გამოიწვია. ტრუმენის მიმართვა, უეჭველია, ემსახურება აგრეთვე წინასაარჩევნო პროპაგანდის მიზნებს და ამოცანად ისახავს შეანელოს გავლენა უოლესის სისტემატური კრიტიკისა ტრუმენის მთავრობის მიმართ, [illegible] რუზველტყოფის“ აუცილებლობა ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო მდგომარეობიდან გამომდინარეობს. ამრიგად, ტრუმენის მიერ წამოყენებული ღონისძიებანი წარმოადგენენ არა მარტო წინასაარჩევნო მანევრს, არამედ გარესამყაროსათვის ნავარაუდევ პროპაგანდისტულ ღონისძიებასაც.

პატარა ფელეტონი

მარტო არ არის ვარლამი

ერთ ღამეს ივანე კაპანაძის ბინა გაქურდეს.

ის დამლუპავდა, — გაიფიქრა ივანემ, მილიციაში გაიქცა, გაქურდვის ამბავი მოახსენა მილიციის უფროსს, საეჭვო პირი დაუსახელა და მისი ბინის გაჩხრეკა მოითხოვა, მაგრამ არავითარი ზომები არ იქნა მიღებული.

ეს მოხდა ქალაქ ქიათურაში 1945 წლის ხექტემბერში.

ივანეს ეჭვი გამართლდა, მეორე წლის დეკემბერში ქურდი თავისივე ოჯახის წევრმა გასთქვა.

ახლა კი მეშველიო, — სთქვა ივანემ, და ეს ამბავი მილიციას 1946 წლის 7 დეკემბერს კვლავ აცნობა. განიხილეს მისი განცხადება, ქურდის ბინის გაჩხრეკა და საქმის გამოძიება მილიციის თანამშრომელს ვარლამ ბრეგვაძეს დაავალეს.

15 დღის შემდეგ მოიცალა ვარლამმა ქურდის — სოფელ ითხვისის მცხოვრების ოლღა ფარქოსაძის ბინის გასაჩხრეკად, ნაქურდალი ივთების ნაწილი აღმოაჩინა და პატრონს დაუბრუნა.

ეს იყო შარშანწინ 22 დეკემბერს.

ამის შემდეგ...

ვარლამმა ითხვისში სიარულს მოუხშირა, ქურდი ქიათურაშიც რამდენჯერმე ჩამოიყვანა, დაჰკითხა, სიმწრის ოფლი ადინა. სანამ კონსტანტინე მახათაძისას კარგი სუფრა არ გაშლევინა, შემდეგ კი ქურდსა და დაზარალებულს შერიგება ურჩია. მაგრამ ივანე კაპანაძემ ვარლამის „შრომა“ ვერ „დააფასა“, გაჯიუტდა, მოითხოვდა ზარალის ანაზღაურებასა და ქურდის დასჯას, ამიტომაც ქალაქის პროკურატურას მიმართა. აქ „დიდი ყურადღებით“ მოისმინეს კაპანაძის განცხადება და ასე უპასუხეს: „შენი ნივთების ქურდი სოფელში ცხოვრობს, მას ჩვენ ხელს ვერ ვახლებთო“. რაიონის პროკურატურაშიც „გულისხმიერად“ მოექცნენ კაპანაძეს, მოუსმინეს, შემდეგ კი მორიდებით უთხრეს: „შენ ქალაქის მცხოვრები ხარ და შენ საქმეს ჩვენ ხელს ვერ მოვკიდებთო“.

მილიციის გამომძიებელი ვ. ბრეგვაძე კი ასე ამბობს: როგორ შეიძლებოდა პურმარილის მიღების შემდეგ ოლღა ფარქოსაძის სისხლის სამართლის წესით დასჯა მომეთხოვა? ოლღა რომ დამჯდარიყო საბრალდებო სკამზე, მასთან ერთად მისი თანამონაწილე დევიძის ქალიც ხომ უნდა დასჯილიყო! ღირდა ამდენად, ერთი კაცის გულისათვის ორი ქალი რომ გავგვეუბედურებინა? ახლა საქმე გართულდა — მოსამართლე ძიებას იწუნებს, რაიპროკურატურა მოსამართლის საქციელს. მე რა დამნაშავე ვარ, თუ საქმე კარგად არ გამოვიძიე, თუ ძიება გავაჭიანურე, სად იყო პროკურორი?

მართლაც გართულდა საქმე. ახლა ვარლამს ისღა დარჩენია იმედად, რომ კაპანაძის ბინის გაქურდვის გამოძიების, ზარალის ანაზღაურებისა და ქურდის დასჯის გაჭიანურებაში დამნაშავე მარტო თვითონ არ არის — მას მხარს უმშვენებენ მისი ზედამხედველები პროკურატურიდან.

გ. ხინგავა

ა ფ ხ ა ზ ე თ ი

სანატორიუმი ომის ინვალიდებისათვის

სოხუმიდან 13 კილომეტრზე სოფელ გულრიფშში, მარადმწვანე სუბტროპიკულ ბაღში აგებულია სანატორიუმი სამამულო ომის ინვალიდებისათვის. იგი შავი ზღვის სანაპიროზე ერთ-ერთი საუკეთესო სანატორიუმია.

სანატორიუმი მდებარეობს ზღვის დონიდან 120 მეტრის სიმაღლეზე, ზღვიდან კი დაშორებულია 3 კილომეტრით.

სანატორიუმი სრული დატვირთვით მუშაობს. ზამთრის სეზონშიც იგი ემსახურება ფილტვების ტუბერკულოზით დაავადებულთ. სანატორიუმი უზრუნველყოფილია მედიცინის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით მოწყობილი საექიმო კაბინეტებით, მზის სააბაზანოებით, ბიბლიოთეკითა და კლუბ-სამკითხველოთი.

აქ სანატორიუმში ისვენებს სსრ კავშირის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული 160 კაცი.

ახალი მშენებლობანი

გუდაუთის რაიონის სოფელ ზღვისპირეთსა და ოჩამჩირის რაიონის სოფელ ბესლახუბაში აგებულია 60 სტანდარტული ქვიტკირის სახლი. სახლებში ჩასახლდნენ წალენჯიხის, ქუთაისისა და წყალტუბოს რაიონებიდან გადმოსული კოლმეურნეები.

* * *

სოფელ ლესელიძეში (გაგრის რაიონი) კოლმეურნეობა „კავკასიის განთიადის“ წევრებმა ააშენეს საკოლმეურნეო კლუბი, რომელსაც აქვს ოთახები ბიბლიოთეკისა და სამკითხველოსათვის. მშენებლობაზე კოლმეურნეობამ დახარჯა 180 ათასი მანეთი.

ს. შონია
„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

განთქმული მონადირე

ამბროლაურის რაიონის სოფელ ურავის კოლმეურნეობაში ენერგიულად მუშაობს 70 წლის მოხუცი მიხეილ რეხვიაშვილი. იგი განთქმული მონადირეა. მას ხშირად გუჯირათით (მთაზე სავალი ჯოხით) მოუკლავს მხეცი.

დღემდე მიხეილს მოკლული ჰყავს 369 არჩვი და ჯიხვი, 126 დათვი, მრავალი მგელი, მელა, კვერნა და სხვა ნადირი.

როცა რაჭის მთის მწვერვალებზე ჩამოსთოვს, განთქმული მონადირე კვლავ ახალგაზრდული ხალისით მიდის მთებში სანადიროდ. მას ძველებურად უჭრის თვალი, მუხლიც მაგარი აქვს. იგი უნადავლოდ დაბრუნებული ჯერ არავის უნახავს.

ა. გეწაძე
„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

„არწივის ბუდე“

დრამატურგებმა **გ. ბერძენიშვილმა** და **ს. დოლიძემ** დასწერეს პიესა **„არწივის ბუდე“**, მასში მოცემულია იუგოსლავიის პატრიოტთა ბრძოლა ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ. პიესა დასადგმელად მიიღო რუსთაველის სახელობის თეატრმა; დგამს სსრ კავშირის სახალხო არტისტი აკაკი ვასაძე. მუსიკას სწერს კომპოზიტორი იონა ტუსკია, მხატვარი დ. თავაძე.

პიესაში მარშალ იოსიპ ბროზ-ტიტოს როლს შეასრულებს სსრ კავშირის სახალხო არტისტი აკაკი ხორავა. ამ დადგმის განხორციელება განზრახულია საბჭოთა არმიის XXX წლისთავისათვის.

ჭადრაკი

შეჯიბრება თბილისის პირველობაზე

4 და 5 თებერვალს შესდგა გადადებული და გამოტოვებული პარტიების გათამაშება, რის შემდეგ მდგომარეობა ასეთია: შიშოვი 10 (1 გადადებული), სოროკინი 10, ვეიზერი და გიორგაძე 7½ (თითო გადადებული), ქარსელაძე 6½ (1 გადადებული), ბლიაძე, ბუსლაევი და ასოვსკი 6, ცინცაძე 5 (1 გადადებული) ლონლიძე, ფალავანდიშვილი და ჯაკობია 4½, გერშკოვიჩი 4, მალაშხია 3½ (2 გადადებული), არუთინიანი 3, და ნეკრასოვი 1½.

თეატრებში

7 თებერვალს: ოპერისა და ბალეტის — „კარმენი“; **რუსთაველის სახელობის** — „სადგურის უფროსი“; **მარჯანიშვილის სახელობის** — „უბრალო ადამიანები“; **გრიბოედოვის სახელობის** — „შმაგი ფულები“; **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — „ფარავნელი ჭაბუკი“; **რუსული** — „წითელი ყელსახვევი“; **მუსიკალური კომედიის** — „სილვა“.

პასუხისმგებელი რედაქტორის მოადგილე **ი. ნატროშვილი**

საქართველოს ლ. პ. ბერიას სახელობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი აცხადებს, რომ ა. წ. 17 თებერვალს დღის 12 საათზე, ინსტიტუტის სააქტო დარბაზში, სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დისერტაციას დაიცავენ:

ვ. ვ. ჩიქვანაია თემაზე: **„Влияние различных способов предпосадочной обработки почвы на рост и развитие мандаринового дерева на склонах“.**

[illegible]

... თევზაია დაიცავს დისერტაციას თემაზე: **„მასალები საქართველოს ზოგიერთი ნაციონალური ულუფის C — ვიტამინური დახასიათებისათვის“.**

ოფიციალური ოპონენტები: მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, დოცენტი ფაილოძე და მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი დოცენტი ი. ბერულავა.

სადისერტაციო შრომების გაცნობა შეიძლება ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში (თარხნიშვილის ქუჩა № 2).

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აცხადებს, რომ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე ა. წ. 20 თებერვალს, დღის 3 საათზე, აუდიტორია № 120 (მთავარი შენობა, მარის ქ. № 1) გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად **დავით წერეთელი** დაიცავს დისერტაციას თემაზე: **„ჩრდილო ირანის დასავლეთ ნაწილის გეომორფოლოგიური მიმოხილვა“.**

ოფიციალური ოპონენტები: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, [illegible]

[illegible]

მშობლები ივანე, ბელა, მეუღლე მარო, შვილები, მერი, ეთერ, ძმა ნიკო, და ნუნუ, მაყვალა იუწყებიან **ვასილ ივანეს-ძე წიკლაურის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 7-II, 7 ს. გამოსვენება 8-II, 3 ს. ყაზბეგის, 23.

მშობლები ვლადიმერ, ელისაბედ ძნელაძეები შვილებით იუწყებიან **თამარ ძნელაძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 6-II, 7 ს. გამოსვენება 8-II, 3 ს. ნიკოლაძის, 13.

რედაქციის მისამართი თბილისი, ლენინის ქ. № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3-08-67, სამდივნოსი—3-06-88, განყოფილებების: პროპაგანდის—3-82-05, პარტიული ცხოვრებისა და საბჭოთა მშენებლობის—3-81-84, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო ტრანსპორტისა — 3-80-83, კულტურის, ყოფაცხოვრებისა და ინფორმაციის — 3-80-84, ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელისა და მშრომელთა წერილების — 3-73-24, მოროგისა და გამომშვების—3-81-65, გამომცემლობის—3-51-81, სტამბის დირექტორის—3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 28. ტირაჟი 110,000 უე 00836